

619/2
1951

დროშა

№4 1951

ქართული
გზაობისთვის



ბ რ ძ ა ნ ე ბ უ დ ე ბ ა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა


**საგზოების სარწყავი სისტემებისათვის
აგებნა ი. ბ. სვანიძის სახლის
მიკუთვნების შესახებ**

მიკუთვნოს საგზოების სარწყავ სისტემას აგებნა იოსებ გესაიძის-ძე სვანიძის სახელი და იწოდებოდეს სვანიძის სახელობის საგზოების სარწყავ სისტემად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
თავმჯდომარე **ვ. გოგუა**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის
მოვალეობის დროებით აღმსრულებელი **ა. ჯანელიძე**

ქ. თბილისი. 1951 წ. 3 ნოემბერი.





იოსებ ბესარიონის-ძე სტალინი

„სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახალ ხუთწლედში შეტანილია ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით“ (კ. ჩაჭვიანი).



დაუკინყარი დღე

პარლამ ქართლი

4 ნოემბერი დაუვიწყარ თარიღად შევა ახალი თბილისის მატინეში. დილაადრიან დაიწყო სამგორის გაცოცხლების დიადი დღესასწაული. ინათლა თუ არა, ზღვა ხალხი გაეშურა დედაქალაქის მომავალი ზღვისაკენ. ბოლო არ უჩანდა მგზავრებით დატვირთული მანქანების ქარავნებს. შეუწყვეტილად მიმოდინდნენ ტაქსები და ავტობუსები ბერიას მოედნიდან მლაშე ტბებამდე. გაჩნდა ახალი სასიხარულო მარშრუტი: თბილისი — სამგორი

ადამიანთა ჟრიაშულმა გააღვიძა ზაფხულის აღმურით გადამწვარი მიწა. საზეიმოდ გამოიყურება თვალუწვედნელი ველი. მოზღვავებულ ხალხს დაჰნათის წითელი დროშებისა და ბაირაღების ტყე. გრანიტის ობელისკს ამშვენებს დიდი სტალინის ვეებერთელა პორტრეტი. ბელადის გვერდით ვხედავთ მისი უახლოესი თანამებრძოლების, მოლოტოვისა და ბერიას პორტრეტებს. წითელ მატერიაზე ბრწყინავს სამ სიტყვაში ჩაქსოვილი ყველა მშრომელის გულისთქმა: დი დ ე ბ ა დ ი დ ს ტ ა ლ ი ნ ს !

მლაშე ტბებს გაყურებთ. თვალწინ გადაშლილა ხრიოკი. ნახევარი საუკუნის წინათ აქ იდგა და მგზნებარე სიტყვით მოუწოდებდა მუშებს ხალხთა მუდმივი გაზაფხულის ბრძენი შემოქმედი — საყვარელი სტალინი. პირველ მაისს, მუშათა სოლიდარობის საერთაშორისო დღეს, მან პირველმა აღმართა რევოლუციის დროშა ამ უდაბურ ველზე. და აი, ორმოცდაათი მაისობის შემდეგ სამგორსაც დაუდგა სიცოცხლის ნამდვილი გაზაფხული: ივრის წყალმა უნდა მოუტანოს ეს სიცოცხლე და აყვავება გვალვით გამომშრალ მიწას!

მშვენიერი დღეა. თვითმფრინავი გუგუნებს სამგორის ფირუზოვან ცაში: ხან დაბლა ეშვება, ხალხის თავზე გადაიქროლებს, ხან კი უეცრად ავარდება მაღლა და წერტილივით მოჩანს ცის კამარაზე. თვითმფრინავიდანაც იღებენ სურათებს, კინოფირზე გადააქვთ ოპერატორებს ამ დღის მომხიბლავი სანახაობა.

მხიარულებას მოუცავს გადატრუსული ველი. გაისმის მშობლიური მელოდიები, გაისმის ლექსები და სიმღერები საყვარელ ბელადზე, სამშობლოზე, ხალხთა ძმობასა და მეგობრობაზე; გიზიდავთ მშვენიერი ცეკვები, ფიზკულტურული ვარჯიშობანი, ტრადიციული მარულა. ასი ათასი თვალი უცქერის ჯიშინი ბედაურების ქროლვას მომავალი ზღვის ფსკერზე. გავა კიდევ რამდენიმე თვე და... თბილისის ზღვის წყალი ილიგლივებს იმ უნაყოფო მიწაზე, რომელსაც ახლა უკანასკნელად ეხება ადამიანის ტერფი.

ბუნების გარდაქმნის დიადი დღესასწაულია, ქართველი ხალხის ოცნებათა შესრულების არნახული ზეიმი ივრის ჩქერთა მოლოდინში. მოსალოცად მოსულან დიდი რუსი ხალხის შვილები, მოძვერესპუბლიკათა წარმომადგენლები, ახლობელი სოფლების კოლმეურნეები. ყველას იტაცებს ერთი სურვილი, — მალე იხილონ ივრის დინება ზემო მაგისტრალურ არხში.

— იორი მოდის! იორი მოდის! უკანასკნელი გვირაბიდან გამოვიდა! — ხმამაღლა გადასცემს რეპროდუქტორი ამ სასიხარულო ცნობას.

საათის ორია. კიდევ რამდენიმე წუთი და იორი უკვე ახალ კალაპოტში დამკვიდრდება. ყველას უნდა პირველმა მოავლოს თვალი საუკუნეთა მანძილზე ნანატრი წყლის გამოჩენას სამგორის ველზე, ყველას უნდა პირველმა გაიგონოს არხში მიქეფარე ივრის ჩხრიალი.

აი, გამოჩნდა. გრანიტის ობელისკს უახლოვდება პირველი ჩქერი.

ბაგეებს წყდება „ვაშა“ და ღიმილი, გაისმის ტაშის გრიალი. თავიგულებით ხვდებიან სიცოცხლის მომტან მდინარეს. სიხარულს

ჩვენი ქვეყნის ხალხთა ნებისა და მისწრაფების ურღვევი ერთიანობა, მათი მატერიალური და მორალური ძალების ერთიანობა ჩვენი სამშობლოს კლიმატის მათ-მართი მთავარი საფუძველია. სწორედ ამ ერთიანობის ამოხებით ჩვენს სახელმწიფოს ძალუას გადაჭრას ისეთი დიდი ამოცანები, რომლებზეც წინათ ოცნებაც კი არ შეეძლოთ კაცობრიობის ქველავი გაბედულ მოაზროვნებას.

ლ. ბერიკა

ვერ იკავებენ, ერთმანეთს ასწრებენ ბიჭუნები ჩქერებში ჩახტომას. პეშვით იღებენ პირველ წყალს ივრის მოსვლით აღტაცებული ადამიანები.

ზეიმით მოვიდა იორი, მოვიდა და ჩხრიალით გადმოდინდა ობელისკის ძირას დაყრილ რიყეზე. სისწრაფეს უმატა და, თითქოს თავისუფლება დაიბრუნაო, ჩქერთა თამაშით გაეშურა მლაშე ტბისაკენ. ისევ ხანგრძლივი ტაშის გრიალი, ტკბილი სიმღერები და მნახველთა ურიცხვი თვალი მიაცილებდა თბილისის ზღვის ფსკერზე გაჭრილ იორს.

წყალსაც სცოდნია ფრთების გაშლა! არხიდან გამოვიდა თუ არა, თანდათან გაფართოვდა, ფერდობზე დაეშვა, გაინავარდა, მწყურვალე მიწას მიუტანა ხალხის ნაჩუქარი თავიგულები. მშვენიერი წალკოტის შესაქმნელად მოვიდა მშობლიური მდინარე, მოვიდა რომ ძარღვში ჩაუდგეს გამომშრალ ნიადაგს, ნასიცხარი გულ-მკერდი გაუგრილოს და მცენარეთა ყვავილობით გაახაროს იგი.

*

ხალხმრავალი მიტინგია გრანიტის ობელისკთან. მიტინგს ხსნის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ვ. გოგუა. ტრიბუნაზე არიან საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ზ. ჩხუბანიშვილი, სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. არუთინოვი, პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელი ამხანაგები, სამგორის მოწინავე მშენებლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მუშაკები.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პიშნით ხვდებიან ივრის დამკვიდრებას თბილისის ზღვაში. სიტყვებით გამოდიან პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები, სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლები, მოწინავე ინჟინრები, მუშები და კოლმეურნეები.

მხურვალე ტაშით იფარება გულთბილი მისალმებები მშობლიური სტალინისადმი, იმ უდიდესი ადამიანისადმი, ვისი პირადი მითითებითაც გაჩაღდა სამგორის დიადი სახალხო მშენებლობა.

უსაზღვრო მაღლობას უთვლიან დიდი ბელადის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი ბერიას, რომელიც მუდამ ეხმარებოდა და ეხმარება სამგორის მშენებლებს ქართველი ხალხის ამ სანუკვარი ოცნების შესრულებაში.

სიამაყის გრძობით აღნიშნავენ საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის, ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის უდიდეს ღვაწლსა და ამავს სამგორის სარწყავი სისტემის შექმნაში.

მიტინგი დამთავრდა, მაგრამ ზეიმი არ დამთავრებულა. ზეიმს განაგრძობს თბილისის ზღვის ფსკერზე მოზღვავებული ხალხი, ზეიმს განაგრძობს ყველა მშრომელი, ვინც გვა დაულოცა მდინარე იორს სამგორის ბუნების გარდასაქმნელად. მინდვრად გაისმის მშობლიური სტალინის სადიდებელი სიმღერები, გაისმის არხში ივრის ხმაური!..

სპიდი ნოვაბრის



გეიგი

მბრეობა



ქართული
ბიბლიოთეკა







ანდრო გაბუნია

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსი



ნატვრა ასრულდა! სამგორში მოვიდა ივრის წყალი!
ამ ბრწყინვალე წარმატებით შეხვდნენ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლები დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 34-ე წლისთავს. იორი მოდის მლაშე ტბების რაიონში, სადაც ნახევარი საუკუნის წინათ მგზნებარე სიტყვა წარმოსთქვა და დროშა აღმართა ხალხთა დიდმა ბელადმა, მშობლიურმა სტალინმა.

საუკუნეთა განმავლობაში სდუმდა უსიცოცხლო სამგორის მიწა. ზაფხულის გავლას გადაეხედა თვალუწვდენელი ველი. წყალი იყო მისი სიცოცხლის მიმცემი, მაგრამ წვეთიც არ მოდიოდა. მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთის ქარები ქროდნენ და იკლებდნენ აქაურობას. აქ არც მცენარეულობა ხარობდა, არც ადამიანი სახლდებოდა.

ბევრჯერ უნატრით სამგორის უნაყოფო მიწის მორწყვა, ბევრჯერ შეუდგენიან პროექტები და სქემები ძველად, მაგრამ ყოველი ცდა უშედეგოდ დარჩენილა. დანგრეულან ის პატარა არხებიც, რომლებიც ჩვენი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში გაუყვანიან, დანგრეულან იმიტომ, რომ გეოლოგიურად არ ყოფილა შესწავლილი სამგორის მთა-გორიანი რელიეფი, რაც რთულ ტექნიკურ ნაგებობებს მოითხოვდა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი სამგორის პრობლემის გადაწყვეტა. მრავალწლით მუშაობდნენ პროექტებზე ჩვენი ქვეყნის მოწინავე სპეციალისტები და ბოლოს, როცა საბოლოოდ დადგინდა მისი ვარიანტი, იგი დასამტკიცებლად გადაეცა ხელისუფლების უმაღლეს მხარეში. 1941 წელს უნდა გაშლილიყო სამგორის დიდი მშენებლობა, მაგრამ პიტლერული ურდოების თავდასხმამ დროებით შეწყვიტა ქართველი ხალხის საუკუნოებრივი ოცნების შესრულება. დიდი სამამულო ომის ძლევაშილიად დამთავრების შემდეგ „სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახალ ხუთწლიურ შეტანილი იქნა ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით“ (კ. ჩარკვიანი).

სამგორის სარწყავი სისტემის განხორციელებას შეუძლია უდიდესი წვლილი შეიტანოს ჩვენი რესპუბლიკის საკუთარი წარმოების მარცვლეულით უზრუნველყოფის საქმეში. მას შეუძლია აყვავებულ ბაღებსა და დააქციოს გავლავით გადატრუსული მიწები და მთა-გორები. უნდა მოირწყას რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი დღემდე გამოუყენებელი მიწები, სადაც მალე გაშენდება ვენახები და ტყეები, იზიზინებს პურის ყანები, უხვად მოვა ყოველგვარი ბოსტნეული.

ხუთიოდე წლის წინათ დაჰკრეს პირველი ბარი სამგორის მიძინებულ მიწას. საქართველოს ყველა კუთხიდან მოდიოდნენ აქ სამუშაოდ შრომისმოყვარე კოლმეურნეები. ისინი არ ზოგავდნენ ძალ-ღონეს, რომ პირნათლად მოეხადათ მოქალაქეობრივი მოვალეობა ჩვენი სამშობლოს წინაშე. ზამთრის ცივ დღეებში, როცა სუსხიანი ქარი ზუზუნებდა სამგორის ველზე, აქ მუშაობდნენ და გადაჭარბებით ასრულებდნენ გეგმებს მოწინავე ქართველი კოლმეურნეები, მათ ნამდვილი შრომითი გმირობა გვიჩვენებს სამგორის დიად სახალხო მშენებლობაზე.

ფასდაუდებელია ქართველ კოლმეურნეთა ნაამაგარი. საქართველოს 25 რაიონიდან, სხვადასხვა პერიოდში, 50.000 კოლმეურნი მუშაობდა სამგორის ველზე, მათ უკვე შეასრულეს 600.000 კუბმეტრი მიწის სამუშაო. კოლმეურნეები განდნენ საუკეთესო მეხეტონეები, ტრაქტორისტები, მძღოლები, მეექსკავატორეები, სკრეპერისტები, ბულდოზერისა და სხვა მექანიზმების შესანიშნავი მმართველები, ზეინკლები, დურგლები. ბევრი მათგანი ბრძედად დაწინაურდა. ასეთია, მაგალითად: დავით ბზიშვილი, ნიკოლოზ მერაბიშვილი, ვლადიმერ კიკნაძე, მიხეილ მჭედლიშვილი, ქარუმ გუცაშვილი, ვასილ დრიაშვილი, ლევან ლომიძე და სხვა მრავალი.

სამგორის მშენებლობის მოწინავეთა რიგებში არიან: ოსტატები—არჩილ სახლთხუციშვილი და გიორგი მათიაშვილი, მეხუდლოზერე—ვანო დელიბაშვილი, მეექსკავატორეები—გიორგი კორკოტაძე, ნიკოლოზ კლიმენკო და გიორგი მეცხვარიშვილი, სკრეპერისტები—იასონ თურქიშვილი და შალვა შოშიაშვილი, რომლებიც სამგორში დაუფლდნენ რთულ მექანიზმებს და ახლა უკვე ამ დიადი მშენებლობის წამყვანი ბირთვის წარმოადგენენ.

ექვს გარეშეა, რომ სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა უდიდეს გამოცდას წარმოადგენდა საქართველოს სპეციალისტებისათვის, რომლებიც მართლაცდა სასახელოდ გაუძღვნენ ამ საშვილიშვილო საქმეს. შეიძლება მრავალი სახელმთხვეპილი ინჟინრის დასახელება, მაგრამ მართო გვარების ჩამოთვლა არ კმარა მათ მიერ გაწეული დიდი შრომის შესაფასებლად პირველ რიგში მაინც უნდა ვახსენოთ საქართველოს ჰიდროელექტრომშენის ტრესტის (მმართველი ვ. ჭანკოტაძე, მთ. ინჟინერი ა. გინდინი) კოლექტივი, რომელმაც წარმატებით შეასრულა რთული საგვირაბო სამუშაოები, გაიყვანა და დააბეტონა არხის პირველი 20 კილომეტრი, აავო არხის სათავე ნაგებობა და შეუდგა სამგორის ჰიდროელსადგურების შენებას. ამ დიდ მუშაოებაში განსაკუთრებით ისახელეს თავი საქმძღროვნერ-

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ჩარკვიანი და სომხეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გ. არუთიანოვი სამგორის არხის გახსნის ზეიმზე.

ფოტო კ. კრიმსკისა

გომშენის 1-ლი მშენებლო სამმართველოს უფროსმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ინჟ. გიორგი წულიკიძემ, სტალინური პრემიის ლაურეატმა ინჟ. მირიან ებრაღიძემ, ინჟინრებმა: თავართქილაძემ, ნუცუბიძემ, ცნობილად და სხვებმა.

დიდი მუშაობა გასწია სამგორწყალმშენის კოლექტივმა (მთავარი ინჟ. აეტ ყიფშიძე) სამგორის სარწყავი სისტემის შესაქმნელად. მან გაიყვანა და დააბეტონა 21 კილომეტრი არხისა თბილისის წყალსაცავამდე რთული ჰიდროტექნიკური ნაგებობებით და შექმნა ყველა პირობა ივრის წყლის დანიშნულ ვადაზე მისაღებად. ეს სახელოვანი კოლექტივი, რომლის რიგებში მრავალი მოწინავე ინჟინერი და ინჟინერ-ტექნიკოსია, ამჟამად წარმატებით მუშაობს ქვემო მაგისტრალური არხისა, ყველა დამხმარე მაგისტრალისა და მთელი განმანაწილებელი ქსელის მოწყობაზე.

გასაგებია ამ სამუშაოთა გრანდიოზულობა; მართო მაგისტრალისა და სარწყავი ქსელის საერთო სიგრძე სამგორის ველზე 4 ათას კილომეტრამდე აღწევს.

ფრიად მნიშვნელოვანია სამგორის ველის დასახლების საკითხი. ახალი სოფლების გაშენება და მათი კეთილმოწყობა მინდობილი აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ დასახლების სამმართველოს. მან უნდა უზრუნველყოს 3.500 კომლის დასახლება სამგორის გაცოცხლებულ ველზე.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბლენუმზე 1950 წლის 13 ოქტომბერს გაკეთებულ მოხსენებაში, ასე განაცხადა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა: „ფართოდ გაჩაღდა ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის სამუშაოები. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ მომავალი წლის მეორე ნახევარში ივრის წყალს გაუფშვებთ სამგორის ზემო მაგისტრალური არხით თბილისის წყალსაცავში“.

სამგორის მშენებელთა კოლექტივმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ამხანაგ კანდიდ ჩარკვიანის ყოველდღიური დახმარების შედეგად თავდადებული შრომით შეასრულა მასზე დაკისრებული საბატიო ამოცანა. 4 ნოემბერს, დღის 2 საათზე პირველად მოვიდა ივრის წყალი თბილისის წყალსაცავში. ზემო მაგისტრალური არხით მოვიდა იორი, რომ ახლო მომავალში უთვალავი არხით იღინოს სამგორის ოდესღაც ხრიოკ მიწაზე სიცოცხლის დასამკვიდრებლად.

მოდის, შეუსვენებლივ მოდის იორი...

ოსიანი ახანაზაფენ საშენის

ირაკლი მოხლაძე

გაონდებია თუ არა, მიწის წიაღში შედის სახელოვანი მგვირავი, სტალინური პარტიის ღურცით ირაკლი მოხლაძე: ხელი უპირისუპრე მშენებელი ზურლი და ღრმად იტრება მიუბის ვულში.

გერ კიდევ 14 წლის იყო ირაკლი იბოლოძე, რაცე პირველად შევიდა ტვიხლის მადარში. მამის დეი რკინის ქველებური წარკვეთი სვირევედა ქვანახარის შრეებს. უცვიროდ კიდევ, როგორ ახერხებს ახე ტარი მიუქს ამდენი ქვანახარის მონკრევათი? ოდღოთიშვი ვლდემარ, რაცე მწვერვლად შე- შობის ირაკლი იბოლოძე, სად არ უნკრევა ღლეოვანი მიუბის ტვიხლის შრედედ მუშაობდა რიონისქის მწე- ნებლობაზე, სადაც მისმა კომკავშირულმა პრეადამ გაიყვანა და დააბეტინა 1,5 კლომეტრის სიგრძის გვირგვინი.

ირაკლიის მიუბის ვულშიც შეიჭრა გამოჩენილი მგვირავი, მისმა პრეადამ ორ კლომეტრზე შეი- ტვიხლის გვირგვინი გასწრა მისი მვირგვინსადგურის მშენებლობაზე.

ამ სამი წლის წინაი სამკორში სამშეშოდ ჩამოვიდა ცნობილი მგვირავი, რაბო თავისი წვლელი შედეგან ვადებრებული დელოს ვაციოტობის საკუში სწორედ აქ დახვდა იველაზე ურთულესი საგვირავი სამშეშო. კლდეების ვანკრევათთან ერთად, უნდა ებრძოლა ნა- დავიდან გამოჩენი წყალთანაც, ირაკლი იბოლოძის ნაცადმა პრეადამ უფელგვირი დაბრკოლება ვადა- დანა და გამარჯვებული გამოვიდა სამკორის მიწასთან პრეადამ. 2 200 კრედე შეტის უფრის მას მიერ ვა- ვნილი გვირგვინი, 82 ათას კუბურ მეტრს აღუტყბა ამ გვირგვინზე შესრლლული შეტომისა და მარქს- სემუშოები.

მისინა მიღწეულა ახლა უკვე ირაკლი იბოლოძისა და მისი შეტობრების მიერ გაკრილ გვირგვინში მოე- დონება იგრის წყალს.

3 ნინაბად.



ექსკავატორი სამკორე-ვალმუნის მეორე უბანზე. ჩარჩოში: სამკორე-ვალმუნის ინკნერი თამარ მკუცავიანია. ფოტო: ვ. კახიკრისა

↓ არხის სიბივის ნაგებზე დიდი ვლ. კახიკრისა

თამარ მკუცავიანია

საოავე ნაგებობიდან გამოჩილი იორს სვიან დლოდა თამარ მკუცავიანია, ახალგაზრდა ინჟინერი დლოდა იმ წლის, როდესაც მისი ხელმძღვანელობით ავე- შული დოქტორი პირველად ვატარებდა იგრის წყალს.

დლოდავინ მშენებლობა მდღეღებობა ეველაზე მინად თამარ მკუცავიანს ეტობიოდა. ახალგაზრდა ინჟინერს აბნეტრებდა, რამდენად დიპტრად ვაგოლდის მისივის სადებრტორი მიდროტქნიერი ნაგებობა, რა შედეგს მოიტრად მას ივე- ების ვანამელობაში ვარული ოადადეგული შრომა.

თამარის აფელტობი არის ორ შორებშიად. იგი მოუთმუნდად დლოდა იგრის წყლის ვანებენას.

და აი, გამონდა კიდევ: დოქტორის თავზე 4 ნიშნების, დილის 4 საათზე, იგრის წყალი აჩქეუდა. დამა- იონების შოკზე ავღვარდნენ ზვირთები და მძვადრად წვირინენ რკინახეტილის უსპამაზარ დოქტორს.

პირველი ტვიხი, პირველი ადტეტემა გამარჯვებულ საბოთა ადამანებლის მი- დამარი სახელებსი.

მოვირე მახლის ტალამ თამარიც ვაიტყვა, გამარჯვებულ სამკორელი რი- ვებში ამაჟად მიაბიჯებდა სახელოვანი ინჟინერი. სამკორის მცხუნვარე შრო- მი ვარუჯული სახე ახლა ვარდივით უღვიოდა. ტრენებზე ხედნიერების დამი უთა- მანვედა.






ხედნიერი იყო თამარ მკუცავიანია, როდესაც მის მიერ აველდი დიქტორში წამოვიდა იორი. სამკორის მშენებულ აბსტულუბან ერთად მღეროდა მისი ვულდი.

ახლა, როდესაც ინჟინერი თამარ მკუცავიანია სამკორის ქვეში მაგისტრალურ არხზე ახალ დოქტორს ავებს, მდღეღვარებით დილის იმ საინახურლო წამს, რო- დესაც მას იწვევა მალაზე ტრენებ დამანატეული იორი.

მელიზაბარ უნილაბა

საქმდროწინერიშენის 1-ლი სამშენებლო სამწაროდლის უფროსი, სტალინური პრევის დოქტორი ინკ. ვ. უნილესკირი → ფოტო: ვ. კახიკრისა

ფოტოზე (მარცხნივად მარჯვნივ): სამკორის მშენებლობის II უბნის მიწი- ვარე შეტობრზე ვ. ირიოავემ აკველდეს შეტობლული ხერხის მოსარეკებაზე. ↓ მიწინავე სერტრებისა ი. ოტრეშვილია მუშაობის დროს. ფოტო: ვ. კახიკრისა





საქართველოს
წიგლმცოდნეობის
ინსტიტუტი





ქართული
ბიბლიოთეკა





საბჭოთაო სახელმწიფოს მშენებლობა
 ყველა რაიონის ყოველკაცისთვის
 ყველა მიწის მონაწილეობა
 საქართველოს ამ ავტონომიურ რეპუბლიკის
 სახელმწიფოს
 კ. ჩხეიძის
 კვებში.

საქართველოს არა ერთმა კოლმეურნობამ ისახელა თავი სამგორის მშენებლობაზე. კოლმეურნეები ერთიმეორეს ეჯობებოდნენ არხის მშენებლობის დაჩქარებაში, იბრძოდნენ გარდამავალი დროისათვის.

ფოტოზე: ზესტაფონის რაიონის ძირულის სოფსაბჭოს თავმჯდომარე ივანე კვინიკაძე გარდამავალ დროს ახარებს ამავე სოფლის კოლმეურნეობის ხელმძღვანელ ამხანაგებს: (მარჯვნიდან) — კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვარლამ ტყემალაძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი კონსტანტინე ქათამაძე და პარტორგანიზაციის მდივანი ვარლამ ბანცაძე.

თბილისის ინტელიგენციის ერთი ჯგუფი სამგორის მშენებლობაზე.
 ფოტო რ. აკოფოვისა



↑ თბილისის მშრომელები არხის მშენებლობაზე.

↓ ინჟინერ-ტოპოგრაფები სამგორწყალმშენის მეორე უბნის ტრასის ნიველირებაზე.
 ფოტო რ. აკოფოვისა



პროექტის ისტორია

აპოლონი

სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის მთავარი ინჟინერი

ქართული ხალხი მრავალი საუკუნის განმავლობაში ოცნებობდა სამგორის მორწყვაზე, ყოვლად შეუწყნარებელი იყო თბილისის გვერდით ასე უსიცოცხლო მიწის არსებობა. მართალია, ამ ველის პერიფერიები, განსაკუთრებით მტკვრის პირას მდებარე ფართობები, ირწყვებოდა, მაგრამ ისიც უმნიშვნელო რაოდენობით.

XVIII საუკუნის დამლევს მეფე ერეკლემ დაიწყო ე. წ. სართიჭალის არხის მშენებლობა. იგი ითვალისწინებდა 2.000 ჰექტარი მიწის მორწყვას სოფ. სართიჭალის მახლობლად. არხი არ ყოფილა დამთავრებულად. მისი მშენებლობა მხოლოდ მეფისნაცვალ გორონცოვის დროს დაუმთავრებიათ. ამას ადასტურებს სართიჭალის გზაზე ამართული ქვის ობელისკის შემდეგი წარწერა:

„მეფე ერეკლე II დროს დაწყებული მშენებლობა დამთავრებულია მეფისნაცვალ გორონცოვის დროს“.

გეოლოგიური პირობების შეუფერებლობის გამო, ამ არხს არ ჰქონია დიდი ხნის სიცოცხლე. არხის ტრასი გადიოდა ნამეწყრალ ნიადაგზე. შრეების რღვევის შედეგად არხი მალე დანგრეულა და მწყობრიდან გამოსულა.

გასული საუკუნის სამოციან წლებში ამიერკავკასიაში მოწყვეული იყო ორი ინგლისელი სპეციალისტი ბელი და გაბა. მათ მიხედობილი ჰქონდათ ამიერკავკასიის რკინიგზისა და საირიგაციო სისტემათა პროექტების შედგენა. უცხოელთა მიერ წარმოდგენილი 12 სქემიდან, რომლებიც ამიერკავკასიის უმნიშვნელოვანეს საირიგაციო პრობლემებს წყვეტდნენ, ერთ-ერთი სამგორის ველის მორწყვის შეეებოდა. იგი ყველა პროექტზე უფრო დამუშავებული იყო და პირველ რიგითად ითვლებოდა. მას „ივრის მარჯვენა ნაპირის არხი“ ეწოდებოდა. არხს უნდა მოერწყა 30 ათასი დესეტინა მიწა. ეს პროექტიც განუხორციელებელი დარჩა.



სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის მთავარი ინჟინერი ა ე ტ უ ი ფ შ ი ძ ე

სამგორის მორწყვის საკითხი განსაკუთრებით აქტიური გახდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ინჟინერმა მელიქ-ვაშაევმა შეიმუშავა სამგორისა და ყარაიის ველების მორწყვის სქემა. იგი ითვალისწინებდა 42 ათასი დესეტინა ფართობის მორწყვას და 100 მილიონი კუბმეტრი ტევადობის წყალსაცავის შექმნას მდინარე იორზე. ამ პროექტით უნდა შეექმნათ, აგრეთვე, თბილისის წყალსაცავი და ვაზიანთან აგეთ 12 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრის ელსადგური. საბოლოოდ არც ეს პროექტი ყოფილა მიღებული.

1925 წლიდან სამგორის მორწყვის პრობლემა დასამუშავებლად გადაეცა საქართველოს მიწსახსოვნი წყალთა მეურნეობის სამმართველოს. ინჟ. ს. ფირალოვმა დაამუშავა სქემა, რომლის მიხედვით მაგისტრალური არხი იწყებოდა სოფ. უჯარმასთან და მოემართებოდა ვაზიანსაკენ. აქ იქმნებოდა 48 მეტრის სიმაღლის ვარდნილი, არხი ჩამოდებოდა ლოჭინის ხეთან და გრძელდებოდა მლაშე ტბებამდე, სადაც ნაგულისხმევი იყო 250 მილიონი კუბმეტრი ტევადობის წყალსაცავის მოწყობა. ამ არხს უნდა მოერწყა 60 ათასი დესეტინა მიწა. საუბუქლიანად განხილვის შემდეგ ეს პროექტიც ხელახლა დასამუშავებლად იქნა გადაცემული, მაგრამ ბოლოს ისიც უარყვეს.

სამგორის სარწყავი სისტემის პრობლემის გადაწყვეტას მხოლოდ 1926 წლიდან ჩაეყარა მტკიცე საფუძველი. ამ დიდ სახალხო საქმეს სათავეში ჩაუდგა ცნობილი ინჟინერი პეტრე მამრაძე. მისი მეთაურობით ფართოდ გაიშალა ტოპოგრაფიული და გეოლოგიური ძიებანი, დაარსებული იქნა პიდრომეტრიული პოსტები მდინარე ივრის ჩამონადენის შესასწავლად და დასაზუსტებლად. მრავალი ღრმა დაკვირვებისა და ყველა პირობის გულდასმით გათვალისწინების შემდეგ, 1930 წელს, შემდგომ ორგანოებს წარედგინა სამგორის ველის მორწყვის ტექნიკური პროექტი.

ინჟ. პეტრე მამრაძის პროექტის მიხედვით, სოფ. სიონიდან იწყებოდა ივრის წყლის რეგულირება. აქ უნდა აგეთ პირველი წყალსაცავი, საიდანაც წყალი გვირაბით უნდა ჩამოსულიყო ისევ ივრის კალაპოტში. შემდეგი ეტაპი იყო სათავე ნაგებობა, საიდანაც წყალს უნდა ედინა ზემო მაგისტრალურ არხში. აქედან წყალი ექცეოდა თბილისის წყალსაცავში, რომელიც თავის მხრივ ქვემო მაგისტრალურ არხს ასაზრდოებდა. პროექტი ითვალისწინებდა 60 ათასი ჰექტარი ფართობის მორწყვას ზემო და ქვემო სამგორში.

ამ პროექტის დამუშავებაში, რომელიც პეტრე მამრაძის უშუალო ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა, მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ მამრაძის მოწაფეები, ახლა უკვე ცნობილი ინჟინერები: შალვა ახალკაცი, სიკო ელერაშვილი, გიორგი მიქელაძე, ელიზბარ გველესიანი, გიორგი ახვლედიანი და სხვები. ისინი ცალკეულ დარგებს სწავლობდნენ და ამუშავებდნენ. მაგალითად, შ. ახალკაცი მუშაობდა სიონის კვანძზე, ს. ელერაშვილი—გეოლოგიურ გამოკვლევებზე, გ. ახვლედიანი—ნიადაგმცოდნეობაში, გ. მიქელაძე—ხელოვნურ ნაგებობებზე, გ. გველესიანი—სამგორის ენერგეტიკაზე.



სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობის უფროსი ა ნ დ რ ა გა ბ უ ნ ი ა


1931 წლიდან 1945 წლამდე არავითარი ცვლილება არ ყოფილა შეტანილი ინჟ. პეტრე მამრაძის ხელმძღვანელობით შედგენილ პროექტში. სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, დიდი სტალინის პირადი მითითებით, სამგორის მშენებლობა შეტანილ იქნა ახალ ხუთწლედში. საჭირო გახდა პროექტის ძირითადად გადასინჯვა და გადახალისება, რაც საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს საპროექტო ტრესტს „წყალპროექტს“ და „პიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილებას დაეკალა.

მრავალი მოწინავე სპეციალისტი მონაწილეობდა სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის დამუშავებაში. დასახლებულთა გარდა, ამ საქმეში თავი გამოიჩინეს ა. ოღიშვილმა, ნ. კანდაუროვმა, ლ. ყალიბგაშვილმა, ა. უგრეხელიძემ, ზ. დამბაშიძემ, გ. ჩხენკელმა, დ. ჭიჭინაძემ და ა. ცერცვაძემ, რომლებიც ენერგიულად მუშაობდნენ დასახული ამოცანის შესასრულებლად.

ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარა ზემო მაგისტრალური არხის ყველა ნაგებობის ტექნიკური და სამუშაო პროექტის შესადგენად „პიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილების (მმართველი თ. გეგელია, მთ. ინჟინერი ა. ლოსაბერიძე) კოლექტივმა. კერძოდ წარმატებით მუშაობდნენ ინჟინერები: მ. მამასახლისოვი, გ. ჯიღაური, ს. შანშივეი, გ. მნაცაკანიანი, პ. ლომია, ე. ჩაბინა, გ. უშვერიძე, ბ. ჯაფარიძე და სხვები. საერთო ხელმძღვანელობა პროექტისა მიხედობილი ჰქონდა ინჟ. შალვა ახალკაცს.

სამგორის სარწყავი სისტემის პროექტის დამუშავებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ჩვენი მეცნიერები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ალ. ჯანელიძე, პროფ. გ. გედევანიშვილი და პროფ. ი. ჩხენკელი. მათ დიდი დახმარება გაუწიეს პროექტზე მომუშავე სპეციალისტებს, რომელთათვის სამგორის დიდი მშენებლობა უდიდეს გამოცდას წარმოადგენდა. ამ გამოცდის ბრწყინვალედ ჩაბარებას ადასტურებს ისტორიული თარიღი—4 ნოემბერი, როცა იორმა პირი იბრუნა და იწყო დენა ზემო მაგისტრალურ არხში.

ოქანება ასრუდება



უკვდავების წმარო

ხრიოკ ტრამალში

ჯანმრთელობის ქარა

თბილისის ზღვაში მოდის ივრის მჩქეფარე წყალი, მოდის სამგორის ველის სიცოცხლის, მისი უკვდავების წყარო.

მხოლოდ ახლა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში გახდა შესაძლებელი სამგორის მიწის გადარჩენა. სამუდამოდ გათავდა მწირი მინდვრების უსიცოცხლობა. ისპობა ველის უდაბურობა, მოდის მისი აყვავება.

ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის ნაწილია სამგორის სარწყავი სისტემის შექმნა. დიდი სტალინის მითითებით ჩაეყარა საფუძველი ამ დიად სახალხო მშენებლობას. იგი წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღმავლობის საუკეთესო საწინდარს.

ჩვენ, ხელოვნების მუშაკები, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, ვზეიმობთ საუკუნოებრივი ნატვრის განხორციელებას, ვზეიმობთ სამგორის ველზე ივრის შემოჭრას, რომელმაც სიცოცხლე უნდა მოუტანოს გვალვით გადახრუკულ მინდვრებს.

იორი მოვიდა სამგორის ველზე. იორი მოვიდა იმ ისტორიულ ადგილას, სადაც ამ 50 წლის წინათ, რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე, დიდმა სტალინმა მოაწყო თბილისის მუშათა პირველი მაისობა.

დიდება ხალხთა მშვიდობის მებრძოლს, ჩვენს საყვარელ მამასა და მასწავლებელს ბრძენ სტალინს!

აკაკი ხორაძე

სსრ კავშირის სახალხო არტისტი

4 ნომბერს სამგორის უდაბურ ველზე ივრის წყალმა იწყო დენა და სიცოცხლის ნიშნად მოველინა ხრიოკ ტრამალს.

სამგორის ველის გამოცოცხლება ჩვენი სამშობლოს აღორძინების საქმეში დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენაა. ის, რაც შეუძლებელი იყო საუკუნეთა მანძილზე, შესაძლებელი გახდა სტალინის გენიამ, სტალინის ერთგულ მოწაფეთა შრომამ, ხალხის გარჯამ, სოციალისტურმა წყობილებამ. სოციალისტური წყობილება სიცოცხლეა, და ბუნებრივია, თუ მისი წყალობით უდაბნოები იყ-

ებენ გამოცოცხლებას.

სამგორის მშენებლობა, ჩვენი ქვეყნის განახლებულ ისტორიაში, მუდამ იქნება საბჭოთა აღამიანის ხელით შექმნილი შესანიშნავი ძეგლი საბჭოთა სოციალისტური ეპოქისა, რომელსაც გმირული შემოქმედება და დიდი საქმეები სჩვევია.

სამგორის მშენებელმა მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსებმა, სამგორის ზემო მაგისტრალური არხის ამუშავებით, ძვირფასი საჩუქარი მიუძღვნეს დედა-სამშობლოს.

მსურველე სალამი სახალხო საქმეში გამარჯვებულ ჩვენს მშენებლებს.

ბროფ. არნ. ჩიმოზავა

სალამი მშვიდობის ვახტვანს

მე მკვდელი ვარ, ვდგავარ მშვიდობის ვახტვანს, ვკვდ ფოლადსა და რკინას, ვმუშაობ იმ ისტორიულ ქარხანაში, სადაც ცხრაასიან წლებში თვითმპყრობელობის დასამხობად რაწმავდა მუშებს ჩვენი მშობლიური სტალინი. ძალ-ღონეს არ ვზოგავ, რათა მუდამ გადამეტებით შევასრულო გეგმა. ვიცი, რომ ჩემგან ნაჭედი ღიოთონი სამშობლოს ძლიერებას ეხმარება.

შრომაში მასალკლდეებს ჩემი ქვეყნის ყოველი წარჩატება. წრფელი გულით ვესალმები სამგორის თავდადებულ მშენებლებს. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ვადაზე გაეხსნათ ზემო მაგისტრალური არხი. ვღელავდი, სიხარულს ვერ ვიკავებდი, როცა პირველად მოვიდა სამგორში ამდენი ხნის ნანატრი წყალი.

ამ ბრწყინვალე გამარჯვების, ისევე, როგორც საბჭოთა ხალხის ყველა სხვა გამარჯვების სელისჩამდგმელია საყვარელი სტალინი.

იმდენ წელიწადს სიცოცხლე და დღეგრძელობა ბელადს, რამდენი ჩქერიც იორს სამგორში მოაქვს.


კობე ილურიკი

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი მკვდელი

ბროფ. ნ. შიფონიკი

ლითონის დიუკერი ხევზე.

ფოტო კ. კრიმსკისა





მდინარე ივრის ხედი სოფელ სიონთან

ფოტო ვლ. გინზბურგისა

სიონის წყალსაცავი

„სამგორის სარწყავი სისტემის“ სრული უზრუნველყოფა წყლით დამოკიდებულია სიონის წყალსაცავის აგებაზე“.

კ. ჩარკვიანი

იმ ადგილას, სადაც სიონის წყალსაცავი შენდება, ორი მთის შორის მოედინება მდინარე იორი. მარჯვნივ საბუდარის მთაა, მარცხნივ კი—ცივგომბორის კალთები. აქ უნდა ააგონ სამგორის სარწყავი სისტემის ყველაზე უდიდესი კაშხალი, რომელიც გზას ჩაუკეტავს იორს, შეაგუბებს და პატარა ზღვად გადააქცევს.

მთიდან მთამდე გაწვდება ეს ვეებერთელა საგუბარი. მისი გრანდიოზულობის წარმოსადგენად ერთი ციფრის დასახელებაც კმარა: კაშხალის ასაგებად ადგილზე დაიყრება და დაიტკეპნება 4.700.000 კუბმეტრი მიწა. ალაგ-ალაგ კი, სადაც ეს საჭიროა, კერძოდ რკინის ფარების დასაყენებელ ადგილას, რკინაბეტონიც იქნება დადუღებული.

საქართველოს ბოლშევიკების ხელძღვანელის ამხანაგ კ. ჩარკვიანის სიტყვით „სიონის წყალსაცავი, რომელსაც დიდი სასარგებლო მოცულობა აქვს, ფრიად სერიოზული ნაგებობაა“. მისი მეოხებით ბევრად ამაღლდება ივრის დონე სიონის კაშხალთან. აშენდება მცირე სიმძლავრის ჰიდროელსადგური, რომელიც თავის წვლილს შეიტანს განახლებული სამგორის აყვავების საქმეში.


წყლის უდიდეს მარაგს შექმნის სიონის წყალსაცავში დაგუბებული იორი. აქ თავს მოიყრის დიდი რაოდენობის წყალი, რომლის რეგულირებამ, თბილისის ს ზღვასთან ერთად, წყლით უნდა უზრუნველყოს სამგორის ველის მთელი სარწყავი სისტემა.




შემოდგომიდან შუა გაზაფხულამდე წყალს დააგროვებს სიონის წყალსაცავი. მინდვრების მორწყვის პერიოდში იგი ყოველ წამში გამოუშვებს 30 კუბმეტრ წყალს. აქედან 13 კუბმეტრი წავა ზემო მაგისტრალურ არხში და მასზე დამოკიდებულ განმანაწილებელ ქსელში, დანარჩენი წყალი კი ივლის ქვემო სამგორის მომავალ არხებში და თვითონ იორში.

ამრიგად, სიონის წყალსაცავი სარწყავ არხთა მარეგულირებელი იქნება. მან უნდა განსაზღვროს ივრის დინების ზუსტი გრაფიკი, რათა სამშობლოს ასაყვავებლად იდინოს სამგორის არხებში ადამიანის მიერ დამორჩილებულმა მდინარემ.

ივრის წყალი არხში

ფოტო ვ. ჯეირანაშვილისა





სამგორში მოდის იორი. სამუდამოდ თავდება გვალვით გადაწყვარი ველის უდაბურობა. მომავალი წლის ზაფხულიდან პირველად მოიწყება ზემო სამგორის უწყალო მინდვრები.

დოვლათისა და ბარაქის ძვირფასი კერა იქნება ხვალის სამგორი. საქართველოს ყველა კუთხიდან მოვლენ აქ საცხოვრებლად კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები, აგრონომები, ექიმები, მასწავლებლები... ისინი მტკიცედ დამკვიდრდებიან აღორძინებულ და აყვავებულ მიწაზე.

შესანიშნავი საყოფაცხოვრებო პირობები იქნებათ აქ დასახლებულ ადამიანებს. საბჭოთა მთავრობა მთ ყოველგვარ დახმარებას გაუწევს. თვითელი ოჯახი საკუთრად მიიღებს კეთილმოწყობილ ოროთახიან კვის სახლს სამზარეულოთი, დერეფნითა და სარდაფით. სახლის ღირებულების ნახევარს სახელმწიფო კისრულობს, ნახევარი კი ათი წლის განმავლობაში უნდა ინადოს ახლადდასახლებულმა კოლმეურნემ.

დიდი შეღავათი ეძლევათ მოახალშენებს სახელმწიფო გადასახადების გადახდის მხრივაც. ისინი სამი წლის განმავლობაში თავისუფლდებიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ყოველგვარი სავალდებულო ჩაბარებისაგან.

მოახალშენე კოლმეურნეებს სახელმწიფოსაგან ეძლევათ, აგრეთვე, სესხი პირუტყვისა და საჭირო სასოფლო-სამეურნეო იარაღების შესაძენად. სახელმწიფოს სარჯზე მოხდება მოახალშენეთა ოჯახების გადამოსახლება და მთელი მათი მოძრავი ქონების გადმოწიდვა რაიონებიდან.

სამგორის ველზე, უმთავრესად ქვემო მაგისტრალური არხის ზონაში, თავდაპირველად უნდა დასახლდეს 3.500 ოჯახი. აქედან 500 ოჯახი დასახლებული იქნება სავარჯულოს რაიონის სოფელ სართიჭალის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე.

მიღებულია ყოველგვარი ზომები ახალშენთა სასმელი წყლით უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით სართიჭალის, მარტყოფისა და წმინდა-წყაროს შესანიშნავი წყაროებიდან გამოყვანილი იქნება წყალსადენები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახლადდასახლებული სოფლების კეთილმოწყობას. ახალშენები ერთმანეთს დაუკავშირდებიან ჩინებული სავაჭრომობილო გზატკეცილებით. აშენდება სკოლები, კლუბები, საავადმყოფო, კინოთეატრი, სავაჭრო წერტილები და სასპორტო მოედნები.

სილამაზით მოხიბლავს ადამიანს სამგორის მომავალი სოფლების სურათი. დოვლათით და ბარაქით აივსებიან აქ დასახლებული კოლმეურნეები.

მოწინავე ტექნიკა

ასობით ავტომანქანა, ათობით მძლავრი ექსკავატორი, სკრეპერები, ბულდოზერები, გრეიდერები, გრეიდერ-ელევატორები, თვითმცლელი მანქანები, მიწის მჭრელები მოქმედებენ სამგორის მშენებლობაზე.

სამგორის მთელ ტრასზე გაყვანილია მაღალი და დაბალი ძაბვის ელექტრო-ქსელი. მთლიანად მექანიზებული და ელექტრიფიცირებულია ყველა სამშენებლო უბანი. მოწინავე ტექნიკითაა აღჭურვილი სამგორის მთელი სახალხო მშენებლობა. ამ მძლავრი ტექნიკის მოქმედებას გამოცდილი ინჟინერ-ტექნიკოსები და ბრიგადირები ხელმძღვანელობენ.

ჩინებულად და დეუფლენ რთულ მექანიზმებს გუშინდელი კოლმეურნეები, რომლებიც სამგორში სამუშაოდ ჩამოვიდნენ და არხის საბოლოოდ დამთავრებამდე აქ აპირებენ დარჩენას.

სამგორის მშენებლობის დიდი მასშტაბით გაფართოების შედეგად, ახლო მომავალში კიდევ უფრო გაიზრდება ეს ტექნიკა.

ფოტოზე (ზემოდან ქვემოთ): სკრეპერი, ექსკავატორი, თვითდამტვირთავი ავტომანქანა, ქვისმტვრევი მანქანა მუშაობის დროს.

გუშინ, სამგორის გახსნაზე

გიორგი ლორია

... ხალხი, მუსიკა. წითელ დროის ტყე.
ღიმი. შვავილი. ზეცა კრიალა...
რა დილა იყო ივრის ლოდინში,
ოცნება იყო, დილა კი არა!

ჯერ იყო ტაშის შემოკვრასავით
მინი ღმინი ხმა, ჯერ გრიალა...
და ათას წლოვით გამოფხალ ველზე
შცხად იორმა ვაიჩხრიალა!

რა წაგი იყო... ნებავი იმ წაგს,
გულმა საგულე როგორ ივრვა?
მე ვარ მოწავე, თბილისის მიწა
ივრის ჭაშნიკი ვით შეიწოვა!!

მე ვარ მოწავე უკვდავი დილის,
გულში ოცნება როგორ შენივთდა;
მე ვარ მოწავე, იორის ზვიკთი
თბილისის გვირი როგორ შევიდა,
და ხალხის გული ვით ჩურჩულადა
— სტალინ შენიტა!

სტალინ შენიტა!

5 ნოემბერი
1951 წ.

თბილისის ზღვა

მახათას მთისგადაღმა, იქ, სადაც ავლაბრის, ილღუნინის და მლაშე ტბების კალაპოტია, წყრომიშობა უდიდესი წყალსაცავი, რომელსაც ხალხმა უკვე „თბილისის ზღვა“ უწოდა.

თბილისის ზღვა არა მარტო უნაყოფო მინდვრების სიცოცხლის წყარო იქნება, არამედ ადამიანთა ჯანმრთელობის შესანიშნავი კერაც.

სრული ავსების პერიოდში თბილისის ზღვაში დაეტევა მილიონობით კუბმეტრი წყალი, რაც მუდმივ რეგულირებაში იქნება. აქედან წყლის ერთი ნაწილი აორთქლებაზე და გაქონვაზე წავა; დანარჩენი კი ქვემო მაგისტრალურ არხში ივლის მინდვრებისა და ბაღვენახების მოსარწყავად.

ზღვის დონიდან 550 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს ჩვენი დედაქალაქის ზღვა. გამოანგარიშებულია, რომ მისი ვეებერთელა აუზის წყლით ვავსებას, რაც უმთავრესად შემოდგომიდან შუაგზაფხულამდე იწარმოებს, წელიწადნახევარი დასჭირდება.

ამ ხნის განმავლობაში შეუსვენებლივ იდენს იორი ზემო მაგისტრალურ არხში, გზადაგზა გამოიმუშავებს „თეთრ ნახშირს“, ბოლოს კი დაბინავდება თბილისის ზღვაში და როცა დადგება ზაფხულის ცხელი დღეები, კვლავ სიცოცხლის მისატანად მიაშურებს მინდვრებს.

სიონის მომაგალ წყალსაცავთან ერთად, თბილისის ზღვა სტალინის სახელობის სამგორის სარწყავი სისტემის მთავარ არტერიას წარმოადგენს. იგი საუკეთესო დასასვენებელი ადგილი იქნება დედაქალაქის მოსახლეობისა და ჩამოსულ ტურისტებისათვის. აქ ისრიალებენ ნავეები და კატარღები, ფართოდ განვითარდება წყალჯომარობის ყველა სახეობა.

მწვანე ტყეებით დაიფარება ირგვლივ მდებარე მთა-გორაკები, აიგება დასასვენებელი სახლები, ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი ბინები. თვითონ ზღვაში მომრავლდება ძვირფასი ჯიშის თევზი, რომლითაც მომარაგებული იქნება თბილისის მოსახლეობა.

კეთილშობილი შრომისა და შემოქმედების ყოველგვარ პირობას შეუქმნის საბჭოთა ადამიანს მის მიერვე გარდაქმნილი და გაცოცხლებული ბუნება.



სოციალისტური მუშა



აკაკი ბალიაშვილი

მ. ო. თ. ხ. რ. ო. ბ. ა.

რაც მტრობას დაუქცევია,
სიყვარულს უშენებია
ხალხური სიმღერა

სიყვარულს დიდი რამ შეძლება, მეტად დიდი!

ჩვენს სოფელში რომ დაიძახეს, ჩვენი კოლმეურნეობიდან მოხალისეები უნდა წავიდნენ არხის მშენებლობაზე, მართალი გითხრათ, პირველად წასვლა არ მინდოდა. იმიტომ კი არა, რომ მუშაობა მეზარებოდა, არა! საქმე მქონდა სხვანაირად. მე მაშინ იმისთანა მდგომარეობაში ვიყავი, რომ ჩემი საქმე საბედისწერო სასწორზე იდო: ქალიშვილი მიყვარდა ერთი, მაგრამ მთელი უბედურება ის იყო, რომ ის ქალიშვილი კიდეც იმდენ ახალგაზრდას უყვარდა, მათ შორის ისეთ ბიჭებსაც, რომ შენი მტერია, მე ვერც ქალაქში შეკერილი ახალი მატერიის „რუსთავის“ კოსტუმი მიშველიდა და ვერც ავტომანქანა „მოსკვიჩის“ ყოლა. ერთი სიტყვით, ცუდად იყო ჩემი საქმე. არა და, იმ ხანებში გადაჭრილი პასუხი უნდა მიმელო, ყველაფერი ვუთხარი იმ გოგოს და ისიც დაეძინე: სხვას თავს არ დავაჩაგვრინებ და თუ ვინმეს გული ერჩის, გაბედოს და წამართვას შენი თავი-თქო. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, დაიძახეს ვინ მიდიხართო. მივიხედ-მოვიხედე, იგრილა ხალხმა, მიდის ყველა, მაგრამ ზოგიერთი უარზე დადგა. გადავხედე: მათ შორის ვინც არ მიდის, ერთი ჩემი ბრიგადირია, მეორე—სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, მესამე—ავროტექნიკოსი, მეოთხე—ექიმი. სუყველა საცოლე ბიჭები არიან და გულში გამკრა, მიშოვეს დრო ამ შეჩვენებულებმა-მეთქი. მივედიტ კრებაზე. ყველა იქაა. მოვიხედე, ეს ჩემი სატრფოც იქაა. შემოსევიათ თაყვანისმცემლები, თვითონ ტრიალებს, არ იცის რომელს მიაპყროს ყურადღება. იცინის, კისკისებს. დავრტიანიდი, პირდაპირ თავბრუ დამესხა. მე ვთქვი: ხელფეხშეკრულს ძალით ვერ წამიყვანენ და იქ წამსვლელი მე არა ვარ მეთქი. მოიხედა, დამინახა, მიატოვა ყველა, მოვიდა ჩემთან და მეკითხება:

— გაიოზ, რა გადაწყვიტე, მიდიხარ?

— არ ვიცი, ჯერ არ გადამიწყვეტია!

— შე კაცო, მთელი რაიონი მიდის და შენ რა მოგივიდა, ერთი თვით მიდიან, მეტი ხომ არა!

— მაშ, მირჩევ წავიდე?

— რომ არ წახვიდე, ხმას აღარ გაცემ.

ბიჭოს, აქ მეგონი ჩემი საქმე ცუდად არ უნდა იყოს! შევხედე, რაღაც სხვანაირად მიყურებს. ასე მეგონია, ცოტა რომ ავიწიო ცას მივწვდები წავალ კი არა. უკან არ მოვიხედავ, ისე გავვარდები. პირველი ვიყავი მოხალისეთა სიაში. მოვიხედე, ჩემი მეტოქეებიდან ხუთი მანაც არ იცვლის ფეხს და რჩებიან სოფელში. მერე ისეთები, რომელთაც ვერ დაზრახავ რატომ არ წამოვიდნენო, — ყველას ისეთი საქმე აქვს, ვერც უსაყვედურებ. წავედი ვითომ დიდი ხალისით, მაგრამ გულში ერთი კუნჭული მტკივა და მტკივა...

მივედიტ ადგილზე. ჩვენმა ბიჭებმა რომ დაინახეს ეს გადარუჯული ველი, გაოცდნენ; საქართველოში თუ იყო ამისთანა უდაბნო ადგილი არც ერთ მათგანს წარმოადგენა არ ჰქონდა. მერე სიციხე იმისთანა, მიწას აღმური ადის. მოგუბრუნდი ჩვენებს და ვუთხარი: მოდი ბიჭებო დავცხოთ და ჩვენი სამუშაოები ვადამდე აღრე შევასრულოთ. რაც არხის ნაკვეთი მოგვიზომეს გასაჭრელად, მაგათი

ჭკუით ერთი თვის სამუშაოა, მე კი ვფიქრობ რომ ათ დღეში ამას ულაპარაკოდ გავჭრით მეთქი. კიო, მითხრეს. ამასობაში, საიდანღაც გაზეთის კორესპონდენტი გაჩნდა, ჩვენი განზრახვა ჩაიწერა საიდანღაც ფოტოგრაფიც წამომპარვოდა. მეორე დღეს ვხედავ, გამოჭიმული ვარ გაზეთში და ეს ჩვენი განზრახვა მთელ ქვეყანას მოსდეს. აგრე არ უნდა-თქო, ვთქვით და ცხრა დღეში გავიტანეთ სვრელი. შეიქნა ერთი ამბავი, გვილოცავენ. გადაწყვეტილი გვქონდა საქმეს რომ გავათავებდით, შინ წავსულიყავით. უკვე ბარგი უნდა შემეკრა, რომ მეძახიან ფოსტალიონი გეძებს, წერილია შენს სახელზეო. მივედი, მართლა წერილია! გავხსენი, ამას რას ხედავს ჩემი თვალები! ჩემი გოგო მწერს. კინაღამ ჭკუა დავკარგე. მითვლის: გაზეთში წავიკითხე შენ შესახებ და ალტაცებაში მოვედიო. ახლა იმედი მაქვს მაგ სამუშაოებს მართლა ათ დღეში შეასრულებ, ხოლო დანარჩენ ოც დღეში კიდეც გააკეთებ ორ იმდენს, რაც ათ დღეში გააკეთებო. აქ კოლექტივის ნუ გედარდებათ, დარჩენილებიც მოვუვლით თქვენს ჩამოსვლამდე საქმესო.

აბა, ბიჭებო, წასვლაზე არავინ იფიქროს, პირობა პირობაა და თვის ბოლომდე აქ ვრჩებით-თქო. ოღონდ ის იქ მეგულებოდეს ჩემად და აქედან ფეხს მოვიცვლი? დავტრიალდით. მაგრამ როგორ, ეს კორესპონდენტი გვეშვება თუ! იმას მოსკოველები მიემატნენ, აქედან კინო მოგვაყენეს, გვიღებენ სურათს და კიდეც გამომჭიმეს გაზეთში. ამ ამბავში რომ ვარ, კიდეც მომივიდა წერილი: ალტაცებული ვარ შენი თავდადებული შრომით, მთელი რაიონი შენზე ლაპარაკობს. გავიგე, თურმე მანდ აპირებ მშენებლობის დამთავრებამდე დარჩენას და თუ ასეა, იქნებ მეც ჩამოვიდე, ძალიან მინდა ამ დიად მშენებლობაში მონაწილეობა მივიღო. ამბობენ, მანდ ქალებიც მუშაობენ ბულდოზერებზეო, სწორი გითხრა, ასეთი განზრახვა მართლა დამებადა გუნებაში და კიდეც ვოცნებობდი, რომ ექსკავატორზე მოვწყობილიყავ, მესწავლა მისი მართვა, იმდენად ძლიერი გავლენა მოახდინა ჩემზე ამ დიადმა მშენებლობამ, მძლავრი ექსკავატორების და ბულდოზერების გრიადმა, ბეტონის მანქანების გუგუნმა და სამუშაოდ გამოსულმა ხალხმა. აქ ხომ თბილისიდანაც მოდიოდნენ კვირაობით მოხალისენი: ინტელიგენტები, პროფესორები, ექიმები, მწერლები, მსახიობები და მუშაობდნენ არხის გაყვანაზე. ახლა კი ამ ბარათმა საბოლოოდ დამტოვა ამ მშენებლობაზე და, როდესაც ჩემი კოლმეურნეობის წევრები სოფელში დაბრუნდნენ, მე მშენებლობის კანტორაში მივედი და განვაცხადე, რომ აქ ვრჩებოდი მუდმივად სამუშაოდ. მივწერე ბარათი ჩემ სატრფოს, რომ ვასრულებდი მის სურვილს და ვთხოვდი აუცილებლად ჩამოსულიყო.

მუშაობამ, ხომ იცით, ჩათრევა იცის და უფროსებმაც დაინახეს თუ არა პატარა მაჯა მიჭრიდა და მარიფათიც მქონდა, სადაც გაჭირვება იყო, იქ გამიშვებდნენ ხოლმე და ჩამაყენებდნენ თავში: აბა, გვიშველე, გაიოზ, შენი იმედი გვაქვსო. დავიმკლავე და ვტრიალებ ჯარასავით. მერე ხომ იცი, შენს ნაშრომს რომ ხედავ ყველაფერი შეგიყვარდება და ეს გადარუჯული მიდამო, ეს სამუშაოები ისე შემიყვარდა, ვერ წარმოიდგენ. გადავხედე გეგმებს და ნათლად წარმოვიდგინე, რა უნდა გაკეთებულიყო: აქეთ ზღვა, იქით სარწყავი რუები, წარმოვიდგინე, როგორ უნდა მოფენილიყო ეს გადარუჯული მთები ამწვანებული ბალ-ვენახებით, კოპწია ოდა-



სახლებით, ხელისგულივით სწორი გზატკეცილებით და მეც აქვე დასახლებული ლამაზი ცოლით და თავქოჩორა შვილებით, დედა რომ უკან მისდევს გზაზე, მანქანამ არ გაიტანოსო.

აუ, რა გაუძლებდა ჩემი მარჯვენის ძალას!

რალა ბევრი გავაგრძელო, ვმუშაობ, მაგრამ გადის ერთი თვე, გადის მეორე, მესამე. რალაც იმ გოგოს დავავიწყდი მგონია. მივწერე ერთხელ, გუცდი პასუსს. გაგიგონია, ვინ გცემს ხმას. რალაც არ მიაბა გუნებაში. ვფიქრობ, რაშია საქმე? მოუთმენლად ველი შვებულებას, მინდა ჩავიდე ჩვენ სოფელში, გავიგო რა მოხდა, მაგრამ შვებულება მოახლოვდა და იმისთანა საქმეც მოახლოვდა, ვინ ფიქრობს შვებულებაზე! გვირახს ვჭრით, ერთმანეთს უნდა შევახვედროთ, იქიდან და აქედან ვჭრით და ინჟინერს, რომელიც ამას ხელმძღვანელობს, ღამეები არ ძინავს. ჩვენც დღე და ღამე გასწორებული გვაქვს. ჩემი სახელი ყოველდღე გაზეთებშია. ჩამოვიდა ერთი ცნობილი მხატვარი, დამაყენა — უნდა დაგხატო. ორი საათი გაშეშებული ვიდექი. დამხატა, დავხედე — თქვენ გენაცვალეთ, ამას რა მიგავს, ამისთანა რომ ვიყო, რალა მიჭირს! ვავიხედე, ერთი სამიოდე დღის შემდეგ პირველ გვერდზე ვარ გამოჭიმული გაზეთში. დავცქერი ამ ჩემ თავს, გუნებაში იცოცხლე, მიხარია. კიდევ ერთი სამიოდე დღე გავიდა. მიძახიან: წერილი მიიღე, ფოსტალიონი გექვსო. გავვარდი, გავხსენი წერილი, ვილაც უცნობი გოგო მწერს, ლაგოდების რაიონიდან; შენზე ბევრი რამ წავიკითხე გაზეთში, ახლა სურათი ვნახე და მინდა შენი გაცნობაო, პედაგოგიური მათემატიკის დამთავრებული, ოცდაორი წლისა ვარო და, ერთი სიტყვით, ანკეტა თავიდან ბოლომდე შეუუსია. წავიკითხე წერილი და გუნებაში გამეხარდა, მაგრამ პირველად, ცოტა არ იყოს, გაკვირვებული ვშლიდი ხელებს. სურათი, მართალია, ნახა გაზეთში, მაგრამ ასე უნახავად როგორ მოვეწონე იმდენად, რომ წერილს მწერს, როგორ შეიძლება ასე შეგიყვარდეს ადამიანი! რა იცი რა კაცია? თუმცა ერთი კი უნდა ვთქვა, ადამიანი საქმეში თუ ვარგა, ის სხვაგვარადაც არაა დასაწუნ და, მე მგონია, ის გოგო ამ შემთხვევაში არ ცდებოდა. ახლა ამას მე იმიტომ კი არ ვამბობ, რომ თავის ქება მინდოდეს. არა, საერთოდ ასეა: არ მახსოვს კაცი, საქმეში იყოს კარგი და სხვა მხრივად არ ვარგებულიყოს ცხოვრებაში. მე ახლა ჩემს თავზე ვერ ვიტყვი, რომ ნაკლი ბევრი არ მქონდეს, მაგრამ არც დასაწუნი ვარ ჩემის აზრით. ამ წერილმა რალაც სხვანაირი ხალისით შემახედა ცხოვრებას. ტყუილად კი არ ამბობს რუსთაველი: სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსაო, მართლა ასეა სწორედ.

მომივიდა ეს წერილი, მაგრამ ჩემს გუნებაში ვამბობ, ერთი ჩემი გოგო მომწერდეს-მეთქი. ვავიხედე მეორე, თუ მესამე დღეს, დაიძახეს კიდევ: გაიოზ წერილიო, გავხსენი. კონვერტიდან შველივით გოგოს სურათი გადმოვარდა. ახლა აფხაზეთიდან მწერს ვილაც. გეუბნები, კინალამ ჰკუა დავკარგე. დავხედე სურათს, თვალებს არ ვუჯერებ, მე რომ გოგო მიყვარს ჩემს სოფელში, სად მივა ამასთან! ბიჭები გიყდებიან სულ; ებიჭო, შენ თუ უარს უთვლი, ჩვენ მაინც ნუ დავგიკარგავ, მისამართი მოგვეცი, ჩვენ მაინც შევუთვლით, იქნებ რომელიმე ჩვენგანს წამოგვეყვს ცოლადა.

გავიდა ცოტა ხანი, სამი წერილი მომდის ერთად, ერთი — ყაზბეგიდან, ორი — სიღნაღიდან, ზოგი სურათს მიგზავნის, ზოგი მწერს, სურათს მალე გამოგიგზავნიო. სულ იმ მხატვარმა კი მიქნა ეს. არა, ღვთის წინაშე, მთლად გლახა ბიჭი კი არა ვარ, მაგრამ ამისთანა ამბავი თუ ატყდებოდა ჩემს გარშემო, არ ვიცოდი. მომდის და მომდის საქართველოს ყოველ კუთხიდან წერილები. მიგზავნიან სურათებს ერთიმეორეზე უკეთესი გოგოები. ის კი, ის არაფერს არ ფიქრობს და, მგონია, სულაც დავავიწყდი. ამ ამბავში რომ ვარ, გვირახის გაჭრაც დავამთავრეთ და შევხვდით ერთმანეთს. საქმეც დასასრულს მიუახლოვდა და სადღა მცალია ჩემი სოფლის მოსავლელებად. ჩემს ბრიგადას, „ელვას“ ეძახიან და არხის ხან ერთ თავში ვარ, ხან მეორეში. ბოლოს, როგორც იქნა, მოთავდა ყველაფერი. დავაგუბეთ სათავეში წყალი და საღაღოს შვიდ საათზე გავუშვით არხში. წყალი მხოლოდ მეორე დღის ორ საათზე მიღწევდა თბილისის წყალსაცავამდე, სადაც საზეიმო მიტინგი იყო მოწვეული. გავუშვით წყალი და

რომ გაიჭრა იორი ბეტონის არხში, ვის დაგვიდგებოდა გული ადგილზე. ავანთეთ ჩირაღდნები და გადავწყვიტეთ, ეს პირველი წყალი მოგვეცილებინა თბილისის ზღვამდე. რა დამავიწყებს იმ უნეტარეს ღამეს, როდესაც, აბრიალებული ჩირაღდნებით ხელში, მაყრებივით მივდევდით მხიარულ იორს თავის ახალ კალაპოტში, მოთმინებით ვუცდიდით, სანამ წყალი დიუკერებში გაივლიდა, თავქუდმოგლეჯილი მივბოდიშთ თავქვე, როდესაც ის შხუილით ეშვებოდა დაღმართზე.

მივაცილეთ ბოლომდე. გადავხედე მლაშე ტბების მიდამოს და რას ვხედავ! თვალს არ ვუჯერებ: მომავალი ზღვის ფსკერი მთლიანად საგსეა ზღვა ხალხით. ასე მეგონა, მთელი საქართველო აქ ჩამოსულა-მეთქი. ამ ზღვის ბობოქარი მღელვარებაც ვნახე. როდესაც დაიძახეს წყალი მოდისო, ზღვა ხალხის ტალღა ხმაურით და ზათით გამოქანა და წყალჩასაშვების ობელისკებთან დაეჯახა ივრის პირველ ტალღას. თითქო გულში ჩაიხუტა ხალხმა ეს პირველი ტალღა და მერე გაჰყვა და ჩააცოლა იგი ილღუნთანის ტბამდე. ამას რალას გაიმბობთ, თქვენი თვალთ გაქვთ ნახული ყველას და რაც მე განვიცადე, არც თქვენ განიცდიდით ნაკლებად. ჰო და, მე თავიდან სიტყვა სიყვარულზე ჩამოვადე და მინდა დავამთავრო ეს ჩემი ამბავიც. რუსთაველი ამბობს: სიყვარული ავგამაღლებსო და პირველად მაინცდამაინც კი არ მესმოდა კარგად ამ აფორიზმის მნიშვნელობა, მაგრამ ახლა, როცა იმ პატარა გოგოს პატარა სიყვარულმა ამ დიდ საქმეთა უსაზღვრო სიყვარულამდე ამამაღლა...


რაო, თქვენ იმ ჩემი სატრფოს ამბავი გინდათ გაიგოთ? ოცდაჩვიდმეტი ქალიშვილის წერილი მივიღე და, როგორ ფიქრობთ, იმ ჩემ გოგოს რა დააყენებდა სახლში! მაგრამ როგორ მოვიდა ის უნდა დაგენახათ! ამდენ ხალხში მე რას ვნახავდი იმას, რადიომ ჩამძახა ყურში: ტრიბუნაზეა კოლმეურნეობა „განთიადის“ მოწინავე მერგოლური, ამხანაგი... ყურებს არ ვუჯერებ. გავარღვიე ხალხი. ვუცქერი — ისაა. დაიწყო: ერთი სიტყვით, გილოცავთ გამარჯვებას, მაგრამ არც ჩვენ დაგირჩით ვალშიო. ჩვენმა კოლმეურნეობამ ჰექტარზე ას ოცდაათი ცენტნერი ყურძენი მოკრიფა (იცოცხლე, თავზე სასხმელი მექნება ქორწილში ღვინო!) და თითო შრომადღეზე კიდევ თხუთმეტი კილოგრამი მარცვლეულიო.


სული კბილით მიჭირავს. გუნებაში ვიძახი, დაამთავრე ჩქარა სიტყვა, ამდენს რას ლაპარაკობ-თქო. დავუდარაჯდი, არსად დამეკარგოს-მეთქი. დაამთავრა სიტყვა და ჩამოვიდა ტრიბუნიდან. როგორც იქნა, მომლანდა თვალი. უი, გაიოზიო! ერთი კი წამოიძახა და დაეშვა ფერდობზე. გავმალე მკლავები და, სხვა დროს შეხედვას რომ ვერ ვხედავდი, ახლა ისე გადავხვებით ერთმანეთს ასე საქვეყნოდ, რომ იმ წუთში უხერხულობა არც გვიგრძნია. რომ ვაკოცეთ ერთმანეთს, მერე მივხვდით ორივე. შეგვრცხვა, შეგვრცხვა ისე, რომ ასე გვეგონა, მთელი ქვეყანა ჩვენ გვიცქეროდა. გაგიგონია?! ვის ცალია ჩვენთვის! ყველა ფიქრობდა, ალბათ, ვინც დაგვინახა, ახლობელი ნათესავები არიანო. მაგრამ ჩვენ ამის რკვევის თავი გვექონდა?

წამოდი აქეთ-თქო, ვეუბნები. ვავიარეთ. ვერც ის იღებს ხმას, ვერც მე. წერილი რატომ არ მომწერე-თქო, ვეკითხები. ბოლოს მითხრა: შენ ისე სწრაფად დაწინაურდი ყველაფერში, მე თავმოყვარეობა აღარ მაძლევდა ნებას მეპასუხა, რადგან ჩემი თავი არ მიმაჩნდა შენი მეგობრობის ღირსადო.


— ეგ კი არა, ალბათ, სხვა მოგწონდა და მე თავიდან მიშორებდი-თქო რომ ვუთხარი, ერთი შემომხედა. თვალეები საგსე ჰქონდა ცრემლებით. მუხლები მომეკვეთა, ეს რა სისულელე წამოვროშე-მეთქი. მართალი ხარო, მომახალა გულმოსულად, თავიდან გიშორებდიო, გამომემშვიდობა და მირბის.

თქვენ როგორ ფიქრობთ, გავუშვებდი?





სამგორის სინატე



მკვდარი ბუნების გამოცოცხლებასთან ერთად, ენერგეტიკის განვითარების თვალსაჩინო კერაც მოგვცა სამგორის სარწყავმა სისტემამ. აქ აშენდება ოთხი ჰიდროელსადგური.

ჩვენში უფრო ადრეც ყოფილა ირიგაციისა და ენერგეტიკის ერთმანეთთან შეხამების ცდები, მაგრამ არხისა და ჰიდროელსადგურების ისეთი რთული კომპლექსის ერთდროულად მშენებლობა, როგორც სამგორში მიმდინარეობს, პირველი შემთხვევაა საქართველოში. ცხადია, მათთან შედარებით მკრთალად გამოიყურებიან ტირიფონისა და ალაზნის საირიგაციო არხებთან დაკავშირებული ჰიდროელსადგურები.

სამგორის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ჰიდროელსადგურის ტურბინებზე წყალს ვარდნა ექნება რამდენიმე ათეული მეტრის სიმაღლიდან. ამ ვარდნისა

ძირითადი სამუშაოა ამოცანა საქართველოში ყოველთვის იძვება წყლის ენერჯის დაუზრუნველად მაკაბის უზრო და უზრო მზაკლი მასუბაბით გამოყენება. ამაშია ჩვენი მომავალი.

პ. ჩარუვიანი

წყალი მომწყვდეული ექნება ლითონის მილსადენში, რომელიც არხის ბუნებრივ გაგრძელებას წარმოადგენს.

ამ მთავარი ჰიდროელსადგურიდან გამოსვლის შემდეგ, ივრის წყალი იმავე არხით გაეშურება თბილისის ზღვისაკენ. გზადაგზა იგი კიდევ ორჯერ წარმოშობს ელექტროენერჯისა და ბოლოს შეუერთდება დედაქალაქის ზღვას.

სამგორის ჰიდროელსადგურები იაფი ენერჯის საკმარაოდენობას მოგვცემენ უმთავრესად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში, როცა ზემო მაგისტრალური არხი მთელი გამ-

ტარუნარიანობით იმუშავებს; იგი 13 კუბმეტრ წყალს გაატარებს ყოველ წამში. სწორედ ამ პერიოდში განიცდიან წყლის ნაკლებობას სხვა ჰიდროელსადგურები, გარდა ხრამკესისა. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სამგორის ჰიდროელსადგურთა შესვლას საქენერგოს ქსელში.

სამგორის სამივე ჰიდროელსადგურის და ზემო მაგისტრალური არხის ნაგებობათა ტექნიკური და სამუშაო პროექტი მოცემულ ვადაზე ადრე შეასრულა „ჰიდროენერგობროექტის“ ინსტიტუტის თბილისის განყოფილებამ.



ინჟინერი ზ. ლ. მაჭავარიანი. (საქჰიდროენერგომშენის II სამშენებლო სამმართველო).

სოფლის მეურნეობის ყოველგვარ დოვლათთან ერთად, ელექტროენერჯისაც მისცემს ჩვენს თბილისს და მთელს რესპუბლიკას გაცოცხლებული სამგორი.

ალ. ლოსაბერიძე

„ჰიდროენერგობროექტის“ ინსტიტუტის თბილისის განყოფილების მთ. ინჟინერი

სამგორშიშენის მოწინავეები: (მარცხნიდან მარჯვნივ): ლევან ლომიძე, კოტე კბილიშვილი, სერგო კიკნაველიძე და შალომ სიბოშვილი.


ფოტო ვ. ჯეირანაშვილისა



პეტრე მამრადე



1907 წლის 1-ლი სექტემბერია. ქართული გიმნაზიის უზარმაზარი შენობის კარი გაიღო. ახოვანმა, იშვიათი სილამაზის კაცმა შემოდგა ფეხი კლასში და ფეხზე წამოდგარ კლასს მოგვესალმა. „დასხედით“, — გაისმა სასიამოვნო ხმა. ახლად შემოსულის მღიმარე სახე და გონივრული გამოხედვა ხიბლავს ყველას და მათ შორის ყველაზე მეტად მე. ახალი მასწავლებელი ჩემი ახლო მეზობელი, მარინისუბნელი (ავლაბრიდან) ძია გიგოს უფროსი ვაჟი, პეტრე მამრადე იყო.



ორ წელიწადს გვასწავლიდა მამრადე და ამ ორი წლის განმავლობაში მთელი გიმნაზიის სიყვარული დაიმსახურა. რამ აიძულა ინჟინერ-ტექნოლოგი მათემატიკის მასწავლებლობა დაეწყო? რა იყო მიზეზი, რომ ადამიანი, რომელიც მოწოდებული იყო დიდი მასშტაბის მშენებლობის პროექტები შეედგინა და ოცნება სინამდვილედ ექცია, თეორემებსა და განტოლებებს ჩაგვიჩინებდა და მოწაფეთა ჟივილ-ხივილით გულს იწყალებდა. საქმე ის იყო, რომ ცარიზმის შავბნელი რეაქციის დროს მთავრობა „ტუხემცებს“ (ადგილობრივ მკვიდრთ) და მდაბიოთა წრიდან გამოსულთ, სამსახურის კარს უხშობდა. კავკასიის წყალთა სამმართველომ მამრადისათვის ტექნიკოსის პატარა თანამდებობაც ვერ „გამოძებნა“.

ქართული გიმნაზიიდან პეტრე მამრადე გადავიდა თავადაზნაურთა შენობების სამმართველოს უფროსად. მის გამგებლობაში იყო ქართული თეატრი, ქარვასლა, ბანკი, ელექტროსადგური და სხვ. ქართული თეატრის მესვეურთ კარგად ახსოვთ ხელოვნების დიდი მოტრფიალე და მსახიობთა დიდი მეგობარი, ინჟინერი პეტრე. თეატრის შენობის გამგებლობა, ქარვასლის რეკონსტრუქცია, მიმდინარე რემონტი, ელექტროსადგურის მანქანების მონტაჟი და დემონტაჟი ვერ აკმაყოფილებდა ფართო ჰორიზონტის ინჟინერს. განსაკუთრებით დიდად იყო დაინტერესებული პეტრე ჩვენი ქვეყნის მინდვრების არიგაციის საკითხებით. ეს სიყვარული ყრმობიდანვე თან დაჰყვა.

*

მიუხედავად იმისა, რომ პეტრე გიმნაზიაში საგნებს დღენაზე არ სწავლობდა, მან მშობლიური ენა და ლიტერატურა ზედმიწევნით კარგად იცოდა. წიგნის კულტს გიგო მამრადის ოჯახში ღრმა ფესვები ჰქონდა გადგმული. როგორც გიგო მამრადე, ასევე მისი მეუღლე, ბარბარე ტარუაშვილის ასული, (დრამატურგ სოფრომ ტარუაშვილის და) წიგნების დიდი მოყვარულნი იყვნენ და უკვდავი შოთას „ვეფხისტყაოსანი“ თითქმის ზეპირად იცოდნენ.

ქართული მწერლობის დიდ მოყვარულს, თავისი ქვეყნის პატრიოტს გული წყდებოდა, რომ მისი ენერგია და ცოდნა წვრილმანი საქმეებით იფარგლებოდა, საშუალება არ ჰქონდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის მოეხმარებინა ცოდნა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გაჩაღდა დიდი მშენებლობა და პეტრეც რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ჩადა იმ სპეციალისტთა რიგებში, რომლებიც ოქტომბრის მონაპოვართა ერთგულნი გახდნენ. პეტრე მამრადის ხელმძღვანელობით გაკეთდა ალაზნის მორწყვის, შირაქის წყალსადენის პროექტები, ბულაჩაურის წყალსადენის სქემები და სხვ.

საქართველოს მთავრობამ დღის წესრიგში დააყენა სამგორის მორწყვის საკითხი. პროექტის შედგენა დაევალა გამოცდილ სპეციალისტს, ამ საქმის ენთუზიასტს — პეტრე მამრადეს. როდესაც პეტრეს ეს დიდი მისია დააკისრეს, იგი უკვე ხანდაზმული

იყო, მაგრამ რას დაგიშლის ასაკი, როცა საქმეს სიყვარული ახლავს, როცა ოცნებას ფრთები ესხმება, როცა საბჭოთა მთავრობა სახალხო საქმის შესრულებას გავალებს. მერე პეტრე მართო ხომ არ არის, მას გვერდში უდგას ახალგაზრდა, ნიჭიერი საბჭოთა ინჟინრების მთელი ჯგუფი. მისი საყვარელი მოწაფენი: შალვა ახალკაცი, აეტ ყიფშიძე, გეოლოგი — სიკო ელერდაშვილი და სხვა მრავალნი.

ხუთ წელიწადს გაგრძელდა პეტრე მამრადის ხელმძღვანელობით სამგორის მორწყვის დაპროექტება. ხუთ წელიწადზე მეტს დადიოდა მამრადე სამგორის მიდამოებში და მისი ყოველი კუთხე ზეპირად შეისწავლა. განა დარჩენილა სამგორის ერთი მტკაველი მიწა მაინც, რომ მამრადეს ცხენით, ან ფეხით არ მოეველოს? საპროექტო-საკვლევადიებო სამუშაოები გაიშალა თბილისის გარეუბნიდან ივრის ქალამდე. ოთხმოცი ათას ჰექტარზე გაწოლილ მიწის ვრცელ

მასივს გადასწვდა დიდი ინჟინრის თვალი და გეგმარის არტახებში მოაქცია ეს სივრცე. რამდენი უძილო ღამე გაუტარებია პეტრეს თავისი საყვარელი პროექტის დაზუსტებაში.

პეტრე მამრადე თავის ყოველ ნაბიჯს, თავის ყველა მოსახრებას უზიარებდა ახალგაზრდობას, მათ სამართლიან შენიშვნებს იღებდა და თავის შემდგომ მუშაობაში ითვალისწინებდა. მამრადე არა ერთხელ წამდგარა ინჟინერ-ტექნიკოსთა აქტივისა და პოლიტექნიკური ინსტიტუტის უკანასკნელი კურსის სტუდენტობის წინაშე და მათთვის გაუცნია სამგორის პროექტი. აქტივის აზრს პეტრე მამრადე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ითვალისწინებდა თავის მომავალ მუშაობაში.

მაგრამ ბუნებით მეტად მშვიდი და გულჩვილი ადამიანი, ვეფხვად გადაიქცეოდა ხოლმე, როცა ხედავდა ზოგიერთ არამართებულ გამოსვლას იმ ძველ დახავსებულ სპეციალისტებისას, რომელთაც სამგორის მორწყვის პროექტის დასამარება სურდათ. დაუფიწყარია სამეცნიერო საბჭოს ის უთვალავი სხდომები, რომლებზედაც მოსმენილ იქნა მამრადის პროექტი. სამეცნიერო საბჭომ სამგორის პროექტის განხილვას თორმეტი, თუ ცამეტი სხდომა მოანდომა. საქართველოს საუკეთესო სპეციალისტები იღებდნენ მონაწილეობას პაექრობაში. მამრადემ და მისმა მოწაფეებმა ღირსეული პასუხი გასცეს მათ, ვინც ძირითადად იწონებდა რა პროექტს, მასში ისეთი შესწორებების შეტანას მოითხოვდა, რაც აქარწყლებდა ამ პროექტის ღირსებას.

რამდენჯერმე იქნა გადამუშავებული პროექტი. ბევრი მართებული შენიშვნა იქნა გაზიარებული და 1933 წელს დაზუსტებული პროექტი გაიგზავნა მოსკოვს დასამტკიცებლად. ასრულდა მამრადის დიდი ხნის ნატვრა. მისი ოცნება მალე საქმედ იქცეოდა, მაგრამ ხანდაზმულ მამრადეს ჯანმრთელობამ სწორედ ამ დროს უმტყუნა და სარეცელს მიაკრა. დაავადებული, მთლად თვალთახედვას მოკლებული პეტრე სიკვდილის ბოლო წუთებშიაც სამგორის იღვით სუნთქავდა. მომაკვდავი პეტრე კარგად გრძნობდა, რომ მის მიერ დაწყებულ საქმეს მისი საყვარელი მოწაფენი დაავკირგვინებდნენ.

და აი, ქართველი ხალხის დიდი ხნის ნატვრას ხორცი შეესხა, მამა-პაპათა სისხლით მორწყულ სამგორის უდაბურ ველს სიცოცხლე დაუბრუნდა.

სამგორის არხის გახსნის ზეიმზე მოსული ქართველი ხალხი პატივისცემით იგონებს სამგორის დღევანდელ დღეზე მეოცნებებს, სამგორის მორწყვის დიდ მოამაგესა და ენთუზიასტს, ინჟინერ პეტრე მამრადეს.

F-1295





სამგორის არქეოლოგია

ქვემო ქართლი
სამგორის რაიონი

ირ. სიხივილი

ყველა ქართველი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს სამგორის არხის მშენებლობაში. ქართველმა ისტორიკოსებმა და არქეოლოგებმა აქ გაშლილ დიდ სამუშაოთა დაწყებას შეუფარდეს ივრის ხეობის ისტორიულ ძეგლთა მეცნიერული შესწავლა.

სამგორის ველზე მდებარე სამი გორაკი, საიდანაც წარმოსდგა თვით ველის სახელიც, დიდი ხანია იპყრობს მეცნიერთა ყურადღებას. ერთ-ერთი მათგანის (სახელდობრ კობრას გორას) გათხრა წამოიწყო 1950 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ, პროფ. გ. ნორაძის ხელმძღვანელობით.

როგორც გათხრამ გვიჩვენა, აღნიშნული გორაკი წარმოადგენს სამარხ ყორღანს. უზარმაზარი ხელოვნური მიწაყრილის ქვეშ აღმოჩნდა მეორე, უკვე რიყის ქვით ნაგები ყორღანი, რომლის სიმაღლე 5,5 მეტრია, დიამეტრი კი — 23 მეტრი. ნაგებობა ირგვლივ შემოფარგლული ყოფილა ხის დიდი მორებით, ალბათ მისი წესიერი კონუსისებური ფორმის დასაცავად. ასეთი ქვის გუმბათის ქვეშ დატოვებულია თავისუფალი სივრცე — საკუთრივ სამარხი კამერა, სადაც აღმოჩნდა ოთხწახნაგოვანი შუბისპირი, სპილენძის ბრტყელი შუბისპირი, ან სატევრისპირი, ქვის გახეხილი იარაღი და შავად მოჭიქული კერამიკული ქურჭლის ნატეხები. ნივთიერი კულტურის ამ საგნების მიხედვით ეს სამარხი ძვ. წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის ბოლოს მიეკუთვნება.

ბოლოს გამოვლინდა სამარხი აკლდამის ნაშთებიც, რომელიც მუხის მორებისაგან აგებულ სწორკოხტა შენობას წარმოადგენდა. შემონახულია ამ ძეგლთა შენობის ერთი კუთხე ექვსი გვირგვინის სიმაღლეზე. საყურადღებოა კუთხეში ძელების დაკავშირება ნაშთით, ოსტატურად ამოჭრილი ბუდეებით. ეს სრულიად უნიკალური, ოთხი ათასი წლის სიძველის შენობა უაღრესად მნიშვნელოვანი შენაძენია ჩვენი ხუროთმოძღვრებისა და სამშენებლო ტექნიკის ისტორიისათვის.


ამას გარდა, ექსპედიციამ ყორღანის სამხრეთით 7 კმ. დაშორებით მიაკვლია ძველ სამარგოვანს. აქ გათხრილ ქვაყუთებში აღმოჩნდა მოკრუნჩხული და ზურგზე მდებარე (თითო ან სამ-სამი) ჩონჩხები — დეფორმირებული თავის ქალებით. ინვენტარის მიხედვით (ძვლის ქინძისთავები, ბრინჯაოს სამაჯურები ბეჭდები, ყვავილის ფორმის რკინის ქინძისთავები ოქროში ჩასმული მარჯნის თავებით და სხვ.) სამარხები ახ. წ. ა. III—IV საუკუნეებს მიეკუთვნება და სამგორის ველის ძველი დასახლების მაჩვენებელია.

1950-51 წლების მანძილზე ისტორიის ინსტიტუტი, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად, აწარმოებდა გათხრებს მდ. ივრის შუა წელზე.

კახეთის ეს უძველესი ცენტრი ხშირად იხსენიება ქართულ მატანებში, სადაც მისი მშენებლობის დაწყება წინაქრისტიანულ ხანას მიეწერება. განსაკუთრებით დაწინაურდა უჯარმა საქართველოს სახელოვანი მეფისა და მხედართმთავრის, ვახტანგ გორგასლისა და მისი ძის, დარის დროს. ვახტანგმა უჯარმა თავის რეზიდენციად აქცია და „აღაშენა იგი ნაშენებითა უსომოთა“. შემდგომ პერიოდებშიც უჯარმა გვევლინება, როგორც უდიდესი ქა-

ლაქი და ციხე-სიმაგრე. XII საუკუნეში უჯარმას ამაგრებს გიორგი III, რომელმაც აქ თავისი საჭურჭლე მოაწყო.

ექსპედიციამ, რომელსაც პროფ. ნ. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობდა (მონაწილეობდნენ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები: გ. ლომთათიძე, ი. ციციშვილი, შ. მესხია, ვ. კობალიანი, გ. მელიქიშვილი, უნივერსიტეტის ასპირანტები და ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტები) ორი სხვადასხვა



სამგორის დიდი ყორღანის ხედი გათხრების შემდეგ
ფოტო ნ. ჯომიდაგასი

პანიის შედეგად გაწმინდა და გათხრა შიდა-ციხის აღმოსავლეთის ნაწილი, ეკლესიის უბანი და ნაქალაქარის კოშკები... აქ უკვე გამოვლინდა სამი სხვადასხვა პერიოდის მშენებლობის ნაშთები. პირველ პერიოდს ეკუთვნის უმეტესი ნაწილი გალავნისა, ოთხკუთხა კოშკებით, ეკლესიის ქვედა სართული, მოზრდილი სასახლის ნანგრევები, სამეურნეო შენობები და სხვ. ყველა აღნიშნული შენობა მკვეთრად განსხვავდება კედლების მშენიერი წყობით, რომელიც შედგება მცირე ზომის თლილი ქვების რიგებისაგან. ამ შენობათა ყველა თლი, ისევე, როგორც კარ-სარკმელები, ნაღისებური მოყვანილობისაა. ყველა ამ ნიშნის მიხედვით ნაგებობანი V-VI საუკუნეებს ეკუთვნიან და უფლებას გვაძლევენ გორგასლის ეპოქის ნაწარმოებად ვიგულისხმოთ. შენობათა მასშტაბი, სიღრმე, სიცხადე და ამავე დროს მშენებელთა მაღალი პროფესიული ოსტატობა და დიდი გემოვნება მნახველის განცვიფრებას იწვევს. ასევე მრავალია იქ საშუალო საუკუნეების (გიორგი III-სა და თამარის ხანა) ცხოვრების ნაშთები. ამ პერიოდში გაუმარგობა და ნანგრეული კედლები, აუშენებიათ ახალი კოშკები, საცხოვრებელი შენობები და წყალსაცავები. ამავე დროს ეკუთვნის მარანი, მრავალი თონე და უამრავი მოჭიქული და წითელი ქურჭელი.

შედარებით ღარიბდა წარმოდგენილი გვიანფეოდალური ხანა, რომელსაც ეკუთვნის ივრის ხეობის გამგებელ ფეოდალთა მიერ აგებული ქვა-აგურის კოშკები.

მიუხედავად იმისა, რომ უჯარმის გათხრები ჯერ დაწყებით სტადიაშია და კვლავაც გაგრძელდება,

მეცნიერებისათვის უკვე ცხადია ადრინდელფეოდალური საქართველოს ამ დიდი ქალაქის, სტრატეგიული პუნქტისა და ქართული ხუროთმოძღვრების ბრწყინვალე ძეგლის დიდი მნიშვნელობა.

1951 წლის ივლისში, ისტორიის ინსტიტუტის მიერ (უნივერსიტეტის სტუდენტთა აქტიური მონაწილეობით) გაითხრა კიდევ ერთი საყურადღებო ძეგლი — ჯერ კიდევ 1948 წ. გამოვლინილი ძველი ტაძარი. აღნიშნული ძეგლი, ე. წ. სიონი, მდებარეობს უჯარმის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ივრის მარცხენა ნაპირას, იქ, სადაც იგება სამგორის სარწყავი სისტემის წყალსაცავი.

ძეგლი წარმოადგენს საკმაოდ დიდი ზომის ბაზილიკური ტიპის შენობას. ბაზილიკის სამივე ნაგებობის სვეტით, ორკალთიანი კრამიტით დახურული სახურავი ჰქონია, რომელსაც ეკვროდა აღმოსავლეთის ფასადზე გამოშვებული ხუთწახნაგოვანი აბსიდის დამოუკიდებელი სახურავი. შენობა, რომლის კედლები მსხვილი, კარგად გათლილი შირიმის ქვის წესიერი რიგებითაა ნაგები, გარედან რამდენადმე სიმძიმის შთაბეჭდილებას სტოვებს, მაგრამ მისი ფართო, შიგრიტ სავსე, მზრუნველობით დამუშავებული და შემკული შიგა სივრცე ხალისიანი და მიმზიდველია. კამარათა საბჯენი თაღები ეყრდნობა მონოლითურ მრგვალ


სვეტებს, რომლებიც ანაწევრებენ შიგა სივრცეს. ყველა თალი და შესასვლელი ნაღისებური მოხაზულობისაა. განსაკუთრებით საზრუნო იერს ატარებს საკურთხევლის კონქის მკაფიოდ გამოყვანილი ნაღისებური თალი.

ტაძარი იშვიათი სიუხვითაა მორთული: გეომეტრიული და მცენარული ჩუქურთმით შემკულია სვეტისთავების ყველა მხარე; თალის იმპოსტებზე გამოსახულია სხვადასხვა ცხოველები და მცენარეები; შესასვლელთა არქიტრავეზსა და საპირიებზე ორიგინალური ჩუქურთმითაა კომპოზიციები, მშვენივრად შესრულებული ვაზის ფოთლებითა და მტევნებით.

შენობის კონსტრუქციული და სამშენებლო ხერხები და დეკორაციული მორთულობა საზღვრავენ ძეგლის აშენების თარიღს, რომლის მიხედვით იგი ფეოდალური პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ადრეულ ძეგლს წარმოადგენს.

სამგორის არხის მშენებელნი, მშენებელნი ბედნიერი ცხოვრებისა, ამჟამინდელ თავისი სამშობლოს არა მარტო დიდებული აწმყოთი, არამედ სახელოვანი წარსულითაც. ისინი სათუთად და სიყვარულით ეპყრობიან ივრის ხეობაში, არხის გაყოფებით და ცულ ისტორიულ ძეგლებს. მათ არხს სამგორის სახელი შეარქვეს, სათავე ნაგებობას — სიონის წყალსაცავი, ერთ-ერთ გვირაბს კი — გორგასლის სახელი.

ქართველი მეცნიერებიც, შთაგონებულნი იორჯ გაშლილი დიდი მშენებლობით, აღადგენენ ამ წარმატებულ მხარის ისტორიას, აამეტყველებენ ჩვენი სამშობლოს წარსულის ბრწყინვალე ძეგლებს, რომლითაც ესოდენ მდიდარია სამგორის არხის მიდამოები.



სიონის ტაძრის კაპიტელი
ფოტო ნ. ჯომიდაგასი

შოთა ხანთაჲ

„ბალახოვანი და უწყლო“ — ასე დაახასიათა მე-18 საუკუნის გამოჩენილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა სამგორის ველად წოდებული ვრცელი მიწის მინდორი, გადაჭიმული თბილისის სანახებიდან სართიქალამდე და გარეჯის მთებამდე, საცხენისისა და ლოჭინის ხეებიდან ყარაიის უდაბნომდე. „სამგორს უწოდებდნენ სამის გორისათვის — წერს ვახუშტი, — რომელი არს ველსა სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო სათის ქალამდე და გარეჯის მთამდე.“

ეს ვრცელი მიწის მინდორი დასახლებული ყოფილა უძველესი დროიდან. სამგორის ველზე ერთ-ერთი გორაკის არქეოლოგიურმა შესწავლამ ჩვენს მეცნიერებს ხელთ მისცა ჩვენი წელთაღრიცხვის წინ მესამე ათასწლეულში აქ მოხინაძრე ტომთა ბელადის საფლავის ნაშთები.

ისტორიის ფურცლები გვამცნობენ ვახტანგ გორგასლის გმირულ ბრძოლებს სპარსი დამპყრობლების წინააღმდეგ ივრისპირეთში.

ბრძოლის ველზე დაცემულ ვაჟაკთა საძმო საფლავებად მიიჩნევენ ერთი ხალხური ლეგენდა სამგორის ველზე ამართულ გორაკებს.

შემდგომ საუკუნეებში სამგორის მიდამოები არა ერთხელ ქცეულა სამშობლოს მტერთან გმირული ბრძოლის ასპარეზად. ქართველთა შეტაკებებს თბილისში ჩამსხდარ თურქ-სელჯუკებთან დედაქალაქის გამოსახსნელად, დავით აღმაშენებლის დროს სამგორის ველზედაც ჰქონდა ადგილი. სწორედ ამ დროისათვის ვხვდებით ჩვენ პირველ ცნობებს სამგორის სამეურნეო მიზნით გამოყენების შესახებ. დავით აღმაშენებლის მემკვიდრე იხსენიებს „ლოჭინით კერძო მძოვარ ნახირს ქალაქისა“. თბილისის მცხოვრებთა ნახირის საძოვარს წარმოადგენდა „ბალახოვანი“ სამგორის ველი, ისევე, როგორც მთელი ივრისპირეთი თბილისიდან ბარდავამდე.

ერთი საუკუნის შემდეგ კი სამგორის ველზე სარწყავი რუ (არხი) იქნა გაყვანილი და კულტურული მიწათმოქმედება გაჩაღდა.

თამარ მეფის ხანაში საქართველოში ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობებიც შეიქმნა და მოთხოვნილებაც გაჩნდა. ეს ის დრო იყო, როცა ქართველთა მონაპირეების „შიშით განძას და ბარდავს ყრმა მცირე ვერ აუტირდებოდა დედასა, და ვერცა თურქნი იორის პირსა და მტკუარის პირსა საძოვარსა აწყენდეს“ (ბასილი ეზოსმოდვარი). გარეშე მტრების შემოსევებისაგან უზრუნველყოფილი ქვეყანა დოვლათისა და ეკონომიურ შესაძლებლობათა გაზრდისათვის ახალ-ახალი მიწის ფონდების გამოყენებას საჭიროებდა. ფართო საირიგაციო სისტემის შექმნა ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას ისახავდა მიზნად. 1579 წლის ერთ საბუთში იხსენიება „სამგორში თამარ მეფისაგან აგებული რუ“. ამ რუს (არხს) სიგრძე 20 კმ. ჰქონდა და სამ ათეულ ჰექტარზე მეტ ფართობს რწყავდა. ამავე ხანებში იქნა გაყვანილი ალაზნის 119 კილომეტრიანი სარწყავი არხიც.

გადახსულ და მორწყულ სამგორის ველზე ქართველმა ხალხმა მევენახეობის გაშენებას მიჰყო ხელი. ამის მოწმეა სამგორის ველზე ვაზიანის სახელწოდების მატარებელი ადგილის არსებობა. ამასვე უნდა გვიდასტურებდეს ერთ შემდეგ დროინდელ საბუთში „სამგორთა თავსაც საწალმენი ალაგნი“-ს მოხსენიება. საბას „სიტყვის კონა“-ში წალამი ვაზის ნასხლევად არის განმარტებული.

მომდევნო საუკუნეებში საქართველოს მიწა-წყალზე აღმოსავლეთის ბარბაროსულმა ურდოებმა გადაიარეს. ივრისპირეთი განსაკუთრებით აოხრდა ჯერ ბერქასა (1265 წ.) და შემდეგ თემუ-



რის მეოთხედ შემოსევის (1399 წ.) შედეგად. ქართველი გლეხკაცის გამრჯე მარჯვენით შექმნილი მიწის კულტურული ფართობები გადახმა, არხებში წყალი ამოშრა, თითქმის მთელი ეს მხარე გაუდაბურდა და გავერანდა.

მე-16 საუკუნეში კახეთის მეფეებმა სახელმწიფოს მართვის საქმეში მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარეს.

სამხედრო თვალსაზრისით კახეთი რამდენიმე სადროშოდ გაიყო. სამგორის მოსახლეობა რუსთველის სადროშოში შედიოდა. რუსთველის დროშის ქვეშ შეიყრებიანო — ვკითხულობთ ერთ საბუთში — „სამებელი, უჯარმო, ავალის-ძენი, აქათ-

განვე იორთა ზედა და სამგორთა შინა ნაპირნი სახლნი, არავის პირნი“... და სხვა.

იგივე საბუთი გვამცნობს, რომ სამგორში მდებარე ზემოხსენებული „საწალმენი ალაგნი სალალოდ რუსთველისა“ არისო. რუსთველის გარდა მამულები სამგორში სხვებსაც ჰქონიათ. ერეკლე მეორის დროს თადია ჩოლოყაშვილი ჩიოდა: სამგორში, ჩემს მამულებში ყანა სხვებს უდგათ და ღალას არ მაძლევნო. სამგორის მორწყვის საქმეს ხელი მოჰკიდა ერეკლე მეორემ მე-18 საუკუნის 90-იან წლებში. მან აქ არხის გაყვანა დაიწყო, ამ სამუშაოს შესასრულებლად მუშახელის გამოყვანა და მათი მომარაგება შეაწერა სოფლებს. „რომელსაც სოფლებს ივრის არხის მუშა აწერიათ, რამთენიც მუშა ეწეროსთ ყველამ უკლებრივ კაი ყოჩალი კაცი იარალით და ბარით უნდა გამოიყვანონო“ — აღგენს იგი. ამ მუშებს ერთი თვის განმავლობაში უნდა ემუშავათ, „ერთ თვეს უკან დავითხოვთ — წერს ერეკლე — და ამას გარდა ივრის არხის მუშაობაში აღარ მოვიხმარებთ და აღარც მუშასა ვთხოვთ“.

მაგრამ მუშახელისა და მათი შრომის ანაზღაურების საკითხის მოგვარება ერეკლეს ძალიან გაუძნელდა. „მელიქს რომ მუშა გამოეგზავნა — წერდა იგი იოსებ ბებუთაშვილს — მოვიდნენ აქა, შუადღემდის ჩიჩქნეს, მაგრამ შვიდი შაურის მიცემა მე არ შემეძლო, დავითხოვე და წამოვიდნენ... ძვირი იყო და დავითხოვეთ“.

შემდეგ ერეკლემ 15 კაპიკიანი დღიური ხელფასი დააწესა და ამ თანხის ნახევრის გადახდა იმ სოფელს დააკისრა, რომელსაც მუშა გამოჰყავდა. იმავე სოფელს მუშა, ერთი თვის სანოვავით უნდა მოემარაგებინა. ამავე დროს „მუღამ ღლე მუშაობაში ღვინოსაც ვასმევთო“ — უმატებს მეფე.

ასეთ პირობებში, ცხადია, არხის სამუშაოების წარმატებით დასრულება შეუძლებელი იყო. დიდი გაჭირვებით არხი ნახევრამდე იქნა მხოლოდ გაყვანილი. იგი მუხროვანის მახლობლად იწყებოდა, პირველი სამი კილომეტრის მანძილზე გასდევდა მდ. იორის ნაპირის ფლატეებსა და შემდეგ სართიქალის მიწებზე გადაივიდა, სამ გორაკს ხელმარჯვნივ მოითოვებდა და ყარა-

იის ველს მიადგებოდა. 1795 წელს ალა-მაჰმად-ხანის გამანდ-გურებელმა შემოსევამ არხის სამუშაოების შეწყვეტა გამოიწვია. ერეკლესული საქართველოსთვის სამგორის ველის მორწყვის ამოცანის გადაწყვეტა ხელმძღვანელი დარჩა.

მე-19 საუკუნეში, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, ერეკლეს მიერ გაყვანილი არხი ძლივს ბოგინობდა. 1821 წელს იგი სულ მთლად სილით ამოივსო (მულანლოს რაიონში) და სართიჭალის მცხოვრებლებმა მნიშვნელოვანი თანხა გაიღეს მის ამოსაწმენდად. იმავე წელს სოფ. თაქლას მცხოვრებლებმა ნე-ბართვა ითხოვეს, ამ არხით ესარგებლათ და გაეგრძელებათ იგი თავიანთ მიწებამდე, ამ სამუშაოს ჩატარების შემდეგ არხის სიგრძემ 25 კილომეტრს მიაღწია.

1836 წ. შესწავლილი იქნა არხის მდგომარეობა, იგი მეტად სავალალო აღმოჩნდა. წყალი არხში საკმაო რაოდენობით მხოლოდ გაზაფხულის წყალდიდობის დროს მოდიოდა, შემდეგ კი იგი თითქმის მთლად შრებოდა. განსაკუთრებით სუსტად იყო მოწყობილი არხის დაცვის საქმე. სათავეშივე (მულანლოს რაიონში) შლადი გორაკის სიახლოვე არხის ხშირ დასილვას იწვევდა და წყლის დინებას აჩერებდა.

რუსეთის მთავრობა იგრის წყლით სამგორის ველის მორწყვისა და ერეკლესული არხის განახლების საქმეს ერთგვარი გულის-ყურით მხოლოდ მე-19 საუკუნის შუაწლებში, მეფისნაცვალ ვორონცოვის დროს მოექცა. 1850 წელს არხი აღდგენილი იქნა. სართიჭალის გზის პირას, იქ, სადაც არხი ჰკვეთდა შარაგზას, აღმართულია ქვის სვეტი, რომლის წარწერა გვამცნობს ერეკლეს მიერ დაწყებული არხის მშენებლობის დამთავრებას ნახევარი საუკუნის შემდეგ. სამშენებლო სამუშაოებს ვორონცოვის დროს ინჟინერი მუხრანსკი ხელმძღვანელობდა.

არხის დაცვის საკითხი კი კვლავ გადაუჭრელი დარჩა. იმავე 1850 წელს, მულანლოს რაიონში მიწის ჩამონგრევამ არხის მოქმედება კარგახნით შეწყვიტა.

მომდევნო წლებში არა ერთხელ იქნა შედგენილი სამგორის ველის მორწყვისა და გამოყენების პროექტები. ყველა ეს პროექტი ქალაქზე დარჩა, სანამ ამ საქმეს მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ ხელი არ მოჰკიდა ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ.

„დროშის“ № 3-ში მოთავსებულ კროსვორდის პასუხი


პო რ ი ზ ი ნ ტ ა ლ უ რ ა დ: 7. ატომი. 8. ლინზა. 10. მილი. 11. ალტი. 12. კალევი. 14. სპარტა. 15. ამეოვისტო. 18. სესია. 21. სირია. 23. ვენა. 25. ალფა. 26. ალბიონი. 27. დოლი. 28. ეტლი. 29. ფრუნზე. 30. მარატი. 31. ზიჩი. 34. ბახი. 35. ანტანტა. 37. იორი. 38. ერგი. 39. ტაივა. 42. ამეზა. 45. კვა ლერია. 47. ხორავა. 48. რაიონი. 49. დელო. 51. დედა. 52. ილინი. 53. ლარსი.

ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ: 1. ტომი. 2. უშა. 3. კონევი. 4. ქიშია. 5. ელისო. 6. ანჩარი. 7. ატაშე. 9. ალტაი. 13. იგერია. 16. მინა. 17. ტოლი. 19. სელი. 20. აესტრალია. 21. სანტარია. 22. რელე. 24. ალაზანი. 25. ანდანტე. 32. იონი. 33. მარილი. 34. ბადე. 35. არია. 36. არხი. 40. ანოლი. 41. გველია. 43. მაიორი. 44. ბანეი. 45. კალია. 46. არალი. 50. ოომი. 51. დილა.

ამ ნომერში ჩართულ გვერდებზე მოთავსებულია ნახატები: უ ჩ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს — „იგრის მოხვლა“ და ვ ა ხ ტ ა ნ გ ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს — „თბილისის ზღვის ფსკერზე“.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე — ა ლ . ბ ა ნ ძ ე ლ ა ძ ი ს ა და ო . ს უ ლ ა ვ ა ს ნ ა ხ ა ტ ი „სამგორის არხის გახსნაზე“.

მეორე გვერდზე — დ ი დ ი ს წ რ ა ფ დ ე ნ ი ზ ე განიდან ქვემოთ წყლის გადმოსაშვებად. (ფოტო რ. აკოფოვისა).



პო რ ი ზ ი ნ ტ ა ლ უ რ ა დ:

- 1. მხედარი, მოლაშქრე. 3. მეტალების ქანგვა ღია ჰაერზე. 6. ფრინველი. 8. მუსიკალური ნოტი. 10. ბურთულეზად დაგუნდავებული წამალი. 12. სამშენებლო მასალა. 13. მოსავლის აღების დრო. 15. საღურგლო ხელსაწყო. 16. ტბა ამერიკაში. 17. სოფელი საგარეჯოს რაიონში. 21. მუსიკალური ნაწარმოების ფინალური ნაწილი. 22. მანძილის საზომი ერთეული ძველ საქართველოში. 23. მდინარე, ციმბირში. 24. ბოროტი. 25. კონტინენტი. 28. სოფელი მდინარე იორის ნაპირას. 32. შემოღობილი ფართობი შენობის ირვკვივ. 33. სუსტი ქარი. 34. სოფელი ცნობილი საუკეთესო ცხენსაშენით. 39. სარწყავად გადაგდებული წყალი. 41. ნაცვალსახელი. 42. ყვავილი. 45. ეპოქა. 48. მამაკაცის სახელი. 50. თმის საღებავი. 51. მდინარე ირტიშის შენაკადი. 53. ორნამენტის სახეობა. 55. ლომოურის საბავშვო მოთხრობა. 57. სუბტროპიკული მცენარე. 59. დამდგარი წყალი. 60. მტუზეში ლენინგრადში. 61. სამოქმედო, სახელმძღვანელო გეგმა. 63. მწვერვალი თბილისის მახლობლად. 64. ქალაქი ჩრდილო კავკასიაში. 68. ჩვენებითი ნაცვალსახელი. 70. სამჭედლო იარაღი. 71. მდინარე ვოლგის შენაკადი. 72. მუსიკალური ნოტი. 75. გამომახილი. 77. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. 78. მთისა და რკინიგზის სადგურის სახელწოდება საქართველოში. 81. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. 82. სპორტოვანი ბარაზიტი.


ვ ე რ ტ ი კ ა ლ უ რ ა დ:

- 1. ხვიარა მცენარე. 2. თხიერი ნივთიერების შესანახი ჭურჭელი. 3. გეომეტრიული სხელი. 4. ვოკალური ნაწარმოები ერთი ხმისათვის ოპერაში. 5. კავშირი. 7. საინჟინერო ნაგებობა. 9. მდინარე იტალიაში. 11. მარცვლული ტექნიკური კულტურა. 14. მდინარე აღმოსავლეთ საქართველოში. 15. ხალხისა და ტრანსპორტის სასაირულო ადგილი. 18. წონის ერთეული, ძველ საქართველოში. 19. შემოწმებულ ადამიანთა ჯგუფი. 20. ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. 26. ცეცხლგამძლე ნივთიერება. 27. საინჟინერო ნაგებობა. 29. ა. ს. პუშკინის აღმზრდელის სახელი. 30. ფრანგი განმანათლებელი. 31. ხეობა სამგორის მიდამოებში. 35. ციხე-ქალაქი იგრის ხეობაში. 36. ტერმინი ჭადრაკში. 37. რკინიგზის სადგური თბილისის ახლოს. 38. მთა თბილისის მახლობლად. 40. სამშენებლო ნარევი. 43. ფართობის საზომი ერთეული. 44. ცეკვის ილეთი. 47. მდინარე რუსეთში. 49. ფრანგი მწერალი. 52. საირიგაციო ნაგებობა. 54. გამოჩენილი საბჭოთა ილუზიონისტი. 56. მტაცებელი ცხოველი. 58. მექანიკური ამწეს ნაწილი. 62. ნოყიერი სასმელი. 65. ფართობი. 66. უარყოფა. 67. ფუტკრების საცხოვრებელი. 69. ვაზის დასამაგრებელი ლატანი. 72. მონათმფლობელური სახელმწიფო ძველ ევროპაში. 74. საარჩევნო ყუთი. 76. მანძილის საზომი ერთეული. 79. პურის გასალეწი ადგილი. 80. გეოლოგიური ტერმინი.


პასუხისმგებელი რედაქტორი — გრიგოლ აბაშიძე სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი), ი. გივინიშვილი, დ. დოლიძე, მ. სააკაშვილი, ი. ციციშვილი, ვ. ჭელიძე, უ. ჯაფარიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარის პრ., № 91. ტელ. № 3-95-38. | ფერადი რეპროდუქციები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8/XII - 51 წ. გამომც. № 71 დაბეჭდი ფურც. 3 1/2, ტირაჟი — 15.000 შგვ. № 806 უფ 16703

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) ბედავითი სიტყვის კომიხატი. თბილისი, მარჯანიშვილის ქ., № 5.



აქ წყალს უშვებენ მომაველ ზღვაში, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ პურის მოსავალი.



იქ ზღვაში უშვებენ მოსავალს, რომ კიდევ უფრო მაღლა ასწიონ პურის ფასი.

ფანი 3 მან.

23/9.

5.15/156.

ქართული
ბიბლიოთეკა

